



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბინდ ბუქ-
უჭი სიფყავა, ფუცილებით და ჭებობით ბუქ-
თის გაფანა ყულა უჯარბისბაზუ უსამაგოუსია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

პარასკევი, 9 ოქტომბერი. 2020 წ. №128 (9054)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 1 ლარი

ილაპ იხილავს საქართველო!

მოდელატეებმა 350 ჰექტარი ქართული მიწა „გააჩუქეს“

ივარი მელაშვილსა და ნატალია ილიჩოვას ბრალი ოფი-
ციალურად წარუბინათ საქართველოს ტერიტორიების
წინააღმდეგ მიმართულ ქმედებაში. როგორც
საქმის პროკურორი მიხეილ სალრაძე აცხადებს,
დაკავებულებისთვის წარუბინილი ბრალდება
მიიქმნა კაბაგორიის დანაშაულს
მიეკუთვნება. ბრალდებულები
დანაშაულს არ აღიარებენ.



ეკლესია ვერ გაჩერდება, სანამ
საკითხი სასიკეთოდ არ გადაწყდება

სამშობლოს გაყიდვით
ნაყიდი ნაყინი და
მასინჯი კოჭაბიტასია

ილია II - დიდი მშვიდობისმოყვარი

სრულიად საქართველოს კათოლი-
კოს-პატრიარქმა, ილია მეორემ საქარ-
თველოში აზერბაიჯანის ელჩი ფაიდ გუ-
ლიევი მიიღო, - ამის შესახებ ინფორ-
მაციას საქართველოს საპატრიარქო
ავრცელებს. მათივე ცნობით, საქარ-
თველოს ეკლესიის მხრიდან შეხვედრას
ესწრებოდნენ: საპატრიარქო ტახტის
მოსაყდრე, მიტროპოლიტი შიო (მუჯი-
რი), ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის
მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), კა-
თოლიკოს-პატრიარქის მდივანი, დეკანოზი მიქაელ ბოტკო-
ველი და საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯალაღანიძე.



„ელჩმა მის უწმინდესობას მადლობა გადაუხადა მიღების-
თვის, ასევე გავრცელებული განცხადებისა და მშვიდობისკენ
მოწოდებისთვის.“

კათოლიკოს-პატრიარქმა ელჩის რანგში საქმიანობის დაწყება
მიულოცა ბ-ნ ფაიდს და კვლავ გამოთქვა წუხილი საომარი მოქ-
მედებების გამო. ბოლოს დასძინა: „სიმართლემდე ძვირფასი არა-
ფერია; უნდა ვეძიოთ იგი; სიმართლემდე კი გზა ნაბიჯ-ნაბიჯაა
გასავლელი“. (იგივე ითქვა სომხეთის ელჩთან წინა დღის შეხ-
ვედრაზეც). ინებოს ღმერთმა, რომ ეს სამართლებრივი, მშვი-
დობიანი მეთოდებით განხორციელდეს“, - ნათქვამია საპატ-
რიარქოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. სრულიად სა-
ქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გუშინ საქარ-
თველოში სომხეთის ელჩს, რუბენ სადოიანს შეხვდა.

ორ-ომ-ტრიალი

ყარაბაღში

კავკასია -
შიშველისგან
გასოფავალი
გვლებს
სახაში...

აშშ-ს საელჩო საქართველოს შეუფოთებას იზიარებს

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო იზი-
არებს საქართველოს შეუფოთებას ჟენევის საერ-
თაშორისო მოლაპარაკებების 6-7 ოქტომბრის რა-
უნდის გაუქმებასთან დაკავშირებით, რაც ერთი მო-
ნაწილის არდასწრების გადაწყვეტილებამ გამო-
იწვია, - ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის სა-
ელჩოს განცხადებაშია ნათქვამი.
საელჩოს ინფორმაციით, ამერიკული დელეგა-
ცია სრულად იყო მზად, დასწრებოდა ამ კვირის
მოლაპარაკებებს ჟენევაში.
„აშშ-ის საელჩო იზიარებს საქართველოს შეუ-
ფოთებას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებე-
ბის 6-7 ოქტომბრის რაუნდის გაუქმებასთან და-
კავშირებით, რაც ერთი მონაწილის არდასწრების
გადაწყვეტილებამ გამოიწვია. ამერიკული დელე-
გაცია სრულად იყო მზად დასწრებოდა ამ კვირის

მოლაპარაკებებს ჟენევაში, ისევე, როგორც სექტემ-
ბერში ჩანიშნულ მოლაპარაკებებს, რომელიც იმა-
ვე მონაწილის მიერ გაუქმდა. მადლობას ვუხდით მას-
პინძლობაში ჩართულ ყველა მონაწილეს, ვინც სწვი-
19 პანდემიის პირობებში ჟენევის საერთაშორისო მო-
ლაპარაკებების მაქსიმალურად უსაფრთხო გარემო-
ში ჩატარებისთვის საქმიანობს. ჟენევის საერთაშო-
რისო მოლაპარაკებების დეკემბრის რაუნდში სრული
მონაწილეობით და პერსონალური დასწრებით, მო-
ლაპარაკებების ყველა მონაწილემ უნდა წარმოაჩინოს
მხარდაჭერა 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთან-
ხმების შესრულებისა და საქართველოში კონფლიქ-
ტის მშვიდობიანი გადაწყვეტის მიმართ.
ვგმობთ რუსეთის მიერ მართული ძალების მიერ
საქართველოს მოქალაქეების მიმდინარე დაპატიმ-
რებებს და მოვუწოდებთ მათი მყისიერი გათავისუფ-

ლებისაკენ. მწუხარებას გამოვთქვამთ საქართვე-
ლოს მოქალაქეების გარდაცვალების გამო, რომ-
ლებიც დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლე-
ბის მიერ სასწრაფო სამედიცინო ევაკუაციისა და
ჰუმანიტარული დახმარების აკრძალვას შეეწირ-
ნენ. უნდა შეწყდეს რუსეთის ქმედებები, რომელიც
საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მი-
სიის დისკრედიტაციისკენ არის მიმართული. ამ
რთულ პერიოდშიც კი, მისია განაგრძობდა სასი-
ცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმიანობას.
შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს
საქართველოს სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობასა
და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორი-
სოდ აღიარებულ საზღვრებში“, - აღნიშნულია
აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებულ ინფორმა-
ციაში.

აზერბაიჯანი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი და ასეთად ღირსება!

„პირველ რიგში უნდა გამოვეხმაურო პროკურატურაში მიმდინარე გამოძიებას, რამეთუ, როგორც ხედავთ, ამ საკითხის პოლიტიკურ მხარეზე არ წყდება და ეს აბსოლუტურად მიუღებელია. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ საბოლოო დასკვნები მხოლოდ გამოძიების დასრულების შემდეგ უნდა გავაკეთოთ. საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი სახის პოლიტიკური და პოლიტიკური სპეკულაციები უბრალოდ დამაზიანებელია ქვეყნისთვის, შესაბამისად, მიუღებელია და დაუშვებელია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აზერბაიჯანი არის საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი და ეს ასე გაგრძელდება ნებისმიერ შემთხვევაში. სწორედ ამიტომ, ვერც გამოძიების დაწყების ფაქტი, რომელიც სრულად საქართველოს საშინაო საქმეა, და ვერც გამოძიების შედეგად ახლად გამოვლენილი ფაქტები, რომლებიც ჩვენ უკვე გავუზიარეთ ჩვენს აზერბაიჯანულ კოლეგებს, ვერ დააზიანებს ორმხრივ სტრატეგიულ პარტნიორობას“, – განაცხადა გიორგი გახარია.



სასამართლოში მიღწეული წარმატებები უკავშირდება ქალბატონი თეა სხელსის მიხედვით. მინდა, მას წარმატებები ვუსურვო ახალ სტატუსში, პარლამენტში, სადაც დარწმუნებული ვარ, რომ მისი მოღვაწეობა ასევე იქნება წარმატებული და ნაყოფიერი“, – განაცხადა გიორგი გახარია.

მოხარება, სიპარტულე აღვიწინავ!

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა კახა კუჭავამ ჟურნალისტებთან საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხზე დაწყებულ გამოძიებასთან დაკავშირებით ისაუბრა.

„ეს ისეთი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საქმეა, არ შეიძლება, ვერ დაიმალება, საბოლოო ჯამში, ყველაფერი გახდება ცნობილი და არ მინდა ვინმეს შერცხვეს იმ განცხადებების და პოლიტიკურად სპეკულირების ქართულ მიწასთან დაკავშირებულ საკითხზე, რომლის კითხვის ნიშნაც არ ვსვამთ, რომ ეს საქართველოს ტერიტორიაზეა ისტორიულად და ქართული მიწა-წყალია. ძალიან სამწუხაროა, როცა ვისმინებ სპეკულაციებს და ცდილობენ, წინასწარჩვენოდ გამოიყენონ ეს საკითხი. გამოძიება მიმდინარეობს უკვე როგორც ჩვენ ვიცით, თვეების განმავლობაში, რაზეც კომუნიკაცია იყო მათ შორის, აზერბაიჯანის მხარესთან.“

არ გადაგვეცა რუკები აზერბაიჯანის მხარისთვის? იმიტომ არ გადაგვეცა, რომ არჩევნები მოდის? ეს გაკეთდა მაშინ, როცა საქართველო ჩათვალა პროკურატურამ, რომ საქმე უკვე აღეძრა ოფიციალურად, მანამდე საჭიროდ ჩათვალა საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომ აღმოჩენილი დოკუმენტაცია გადაეცა აზერბაიჯანული მხარისთვის და ძალიან მისარია, რომ ვისმინებ აზერბაიჯანული მხარისგან იგივე კომენტარებს, რომ ჩვენს მეგობრობას ეს საფრთხეს ვერაზიარად ვერ შეუქმნის. მთავარია, სიმართლე დადგინდეს“, – განაცხადა კუჭავამ.

იუსტიციიდან – პარლამენტში...

დღეს არის პირველი მთავრობის სხდომა, როდესაც თეა წულუკიანი, ჩვენი იუსტიციის მინისტრი ჩვენთან ერთად აღარ არის. მან დატოვა მთავრობის შემადგენლობა. მას მინდა მადლობა

თენგიზ ცერცვაძე: ქვეყნის ხელშეწყობა და პირადად პრემიარი არის მოხარული შემოქმედი იმ დიდი წარმატებისა, რომ ქვეყანა ყველაზე უკეთ შექნა და განავითარა!

სახელისუფლებამ ვერტიკალი, პანდემიის პირველი დღიდანვე გამოიჩინა კრიზისული სიტუაციის მენეჯმენტის უმაღლესი დონი, რამაც საქართველოს საშუალება მისცა, რომ 7-8 თვე მოეგო და მთელი ეს პერიოდი ყოფილიყო ავადობის შემთხვევების მინიმალური რაოდენობა, – ამის შესახებ ინტეგრირებული პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ, მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრისა და კლინიკების წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

„რამდენადაც დაინწყო შემთხვევების ზრდა, თუ ამაზე მთავრობა და ექიმები რეაგირებდა არ მოახდენენ, შეიძლება, დავკარგოთ ეს ძალიან კარგი პოზიციები. დღევანდელმა შესვენებამ აჩვენა, რომ ქვეყნის ხელშეწყობისა და პირადად პრემიერ-მინისტრს, რომელიც, მიმანია და არ მერიდება ამის აღნიშვნა, არის მთავარი შემოქმედი იმ დიდი წარმატებების, რომ ქვეყანა ვეროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მასშტაბით კოვიდინფექციას ყველაზე უკეთ უმკლავდება, ხელი უდევს პულსზე. ზუსტად დაისვა ის საკითხები, რამაც პრობლემები შექმნა ბოლო პერიოდში“, – განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

სომხური მხარე:

ნუ აპყვებით ანტი-ქართულ დეზინფორმაციას!

სომხეთის პრემიერ-მინისტრის აპარატის ხელმძღვანელი ედუარდ ალაჯანიანი სომხეთის მოქალაქეებს მოუწოდებს, „არ აპყვნენ ანტი-ქართულ პროპაგანდას და დეზინფორმაციას, თითქოს საქართველო და ქართველი ხალხი შეიარაღებულ კონფლიქტში აზერბაიჯანულ მხარეს უჭერს მხარს.“ „ქმირვასო თანამეგობრებო!“

ბოლო დროს სოციალურ მედიაში შემავრთველი ტენდენცია შეინიშნება. კონკრეტული ფეიკნგარიშები, რომლებიც ცნობილი და უცნობი ცენტრებიდან იმართებიან, საჯარო აზრზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ, თითქოს საქართველო და ქართველები შეიარაღებულ კონფლიქტში აზერბაიჯანს უჭერენ მხარს.

მოგონოდებთ, ნუ აპყვებით პროვოკაციებს და თავი შეიკავებთ მსგავსი დეზინფორმაციის შექმნისა და გავრცელებისგან. ვაცხადებ, რომ სომხეთისა და საქართველოს პატივსაცემი სახელმწიფო უწყებები ეფექტურად თანამშრომლობენ, რათა მოგვარდეს ის მწვავე პრობლემები, რომლებიც ყველა ჩვენგანს უდგას. ამასთან, მინდა, გაცნობოთ, რომ მრავალი მათგანი უკვე მოგვარებულია, ორმხრივი ძალისხმევით შედეგად.

ჩვენს ერებს შორის ათასწლოვანი ძმური ურთიერთობა ვერასოდეს დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ, რადგან ის ღრმა, საზიარო ღირებულებათა სისტემაზეა დამყარებული. მაშასადამე, კიდევ ერთხელ მოგინოდებთ, არ აპყვეთ გამიზნულ პროვოკაციებს და შეინარჩუნეთ სოლიდარული სულისკვთება ქართველი ხალხის მიმართ, ციფრულ და არაციფრულ სივრცეებში, – წერს ალაჯანიანი.

„საბარტელო გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ფაქტზე ორი პირი დააკავა. წარსადგენი ბრალდება გულისხმობს ბრალდებულების მიერ საქართველოს საზღვრების დარღვევას, რაც მიმართული იყო საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისკენ. ბრალდებულების მიერ ჩადენილმა დანაშაულებრივმა ქმედებებმა შექმნა საფრთხე ისტორიული ტერიტორიების დაკარგვის, რომელიც დაახლოებით, 3 500 ჰა შეადგენს. მთავარი გარემოება შემდეგია – ბრალდებულებმა განზრახ, საქართველოს საზღვრების დარღვევით და მონაკვეთებს საქართველოს ფარგლებში აქცივედნენ. მათ ამ კარტოგრაფიულ მასალას განზრახ გაუკეთეს იგნორირება.“

არ მიყვარს პათეტიკა და ბილნსიტყვაობა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა მიუხედავად მაქსიმალური თავშეკავებისა, ცოტა გამიჭირდება: ეს დედა-ავთქებული, სამშობლოს მიწას რომ ჰყვით და იმ „მაყუთით“ შვილებისთვის ნაყინს ყიდულობ, არ ფიქრობ – ყელში

როგორ გადაუვათ?

ის, ვინც დავალება გასცა, ხომ... აი, ვფიქრობ რა შედარება მოვიყვანო, მაგრამ შესაფერისი ვერაფერი მოვძებნე, ამიტომ თქვენ თავად რასაც გაიფიქრებთ, ის ფრაზა იყოს, ხოლო ის, ვინც ეს დავალება შეასრულა, ხომ სუფთა მონაა.

არა, მონა კი არა – ლოკოკინა, რომელსაც მიმაც „ჰვიდი“ და გრიშაც.

მისთვის მთავარია, თავის ლორწოში იჯდეს თბილად.

და ამ დროს გამოსტება ვილაც და სისულელების როშვას იწყებს, ვითომდა თავის გამართლების მიზნით.

ფუი, თქვენნი უჯიშო სული რა ვთქვი!!!

რაც შეეხება იმას, ვინც „გამართლებას“ ცდილობს, ვიტყვი, რომ ძალიან მეშლება ნერვები იმ არსებებზე, რომლებმაც პროკურატურის მიერ ქართული მიწის გაყიდვასთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე დაიწყეს რალაცების როშვა და მარაზმატული ფრაზებით ცდილობენ პოლიტიკური სარჩულის გადაბრუნებას.

არადა, ამ დროს არა თავის გამართლების რეჟიმთან ამოვარდნენ და ერთმანეთზე მიყვლებით აღიარებენ ჩვენებას იძლევიან.

არც ის გამოვა, რომ ყველა-



ფერი იმ ორ ჩინოვნიკს „შეტენონ“.

აბა ვინ დაიჯერებს, რომ ვილაც ორმა მლიღმა თუნდაც 80 მილიონის გამო გაბედა და სააკაშვილის ბანდის უჩუმრად ასეთი სიბინძურე ჩაიდინა.

ეგრე რომ ყოფილიყო, ფულის ალების მეორე დღესვე გაქტეობდნენ საქართველოდან.

გამოძიებამ აუცილებლად უნდა დაადგინოს, ვისი დავა-

სამუოზლოს გაყიდვით ნაყიდი ნაყინი და მახინჯი მოკაბიტასია

პაიქსთან გადაცემაში ურცხვად განაცხადა, რომ ამ კომისიის სალომე ზურაბიშვილის მინისტრობის დროს დაინყო მუშაობა. ტყუილი მაშინვე გაცხადდა, რადგანაც ყველამ კარგად იცის, რომ იმ ხანად მინისტრი გელა ბეჟუაშვილი იყო.

ყველაზე ამაზრზენი დანიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის გიგი გიგიაძის დაკავებულთა მიმართ მხარდაჭერა აღმოჩნდა.

„სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ ივერი მეღაშვილს,



საქართველოს პირველი პრეზიდენტის მხარდამჭერებს „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიის პირველ ნომრად ვახტანგ კიკაბიძის დასახელებამ სამხედრო პუგჩის დღეები გაახსენა. მაშინ სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორებმა და მათმა მხარდამჭერებმა თბილისის მოედნებს და მშვიდობიანი მოქალაქეების სოცვა-ქლეტას „დემოკრატიული“ და „სახალხო რევოლუცია“ უწოდეს – ამბობს „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირის“ ლიდერი თამარ ლაღიანი და კანონიერი ხელისუფლების დამხობის დღეებს იხსენებს.

საუბედუროდ, ეს ასე იყო...

თამარ ლაღიანი: იმ ტრაგიკულ დღეებში მომდევნო მთელი მსახიობი, ყველა ჩვენზე ნადირობდა და მათ შორის იყო გუბა კიკაბიძეც...

– იმ ავბედითი დღიდან კი, როცა შეიარაღებული გადატრიალების გზით მოსულმა ადამიანებმა თბილისის ქუჩებში ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერებზე ნადირობა დაიწყეს, 29 წელი გავიდა. მაშინ ადამიანის უფლებების დამცველი გახლდით და საქართველოს პრეზიდენტს ბუნებრივად ვახტანგ კიკაბიძეს ვიძღვებდით ინფორმაციას, რომ კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერები ქალაქის სხვადასხვა ადგილს იკრიბებოდნენ და ბანდიტები მათ იარაღით უპირისპირდებოდნენ. 1 იანვარს ბუნებრივად ზვიად გამსახურდიას დავალეხებდით, ინფორმაციის მოსაძიებლად გამოვედი და რაც თბილისის ქუჩებში ვნახე, ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს არ წა-

იშლება. რკინიგზის მიმდებარე ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერი ლია ენუქიძე მშვიდობიან მიტინგს ატარებდა. იმ დღეებში ყველანაირად ვცდილობდით, რომ საქართველოში დატრიალებულ უბედურებაზე საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის სხვა მიგვეწვდინა. ლია ენუქიძემ წერილები გაამზადა და სასტუმრო „მეტეხში“ უცხოელ ჟურნალისტებს შეხვდა. პასუხად მიიღო, რომ თუ ასეთი ამბავია, რატომ არავინ არაფერს აპროტესტებო. ყველა ხვდებოდა, რომ აუცილებელი იყო საპროტესტო აქციის მოწყობა, ამიტომ პირდაპირ რკინიგზის სადგურზე გავიდნენ და ხალხს აქციაზე მოსვლისკენ მოუწოდეს. ვერავინ წარმოიდგენდა თუ მიტინგზე 300 000 ადამიანი მოვიდოდა. მიტინგის მიმდინარეობისას, შორიასლოს, სამი მანქანა გაჩერდა. მანქანიდან ნიღბიანი ადამიანები გადმოვიდნენ და მიტინგეების მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. პირველი ტყვია პრეზიდენტის სურათს მოხვდა. **უიარაღო ადამიანები განდიტაჟდნენ და ზოგიერთი მათგანი დაუპირისპირდა ჩვენს ჯარს. საფრთხილოდ, ერთ-ერთი მათგანი ცნობილი მომხრე იყო. იმ ტრაგიკულ დღეებში მომდევნო მთელი მსახიობი, ყველა ჩვენზე ნადირობდა და მათ შორის იყო გუბა კიკაბიძეც.** ერთ-ერთმა მსახიობმა ცირკის მხრიდან გაქ-




ცეულ ადამიანებს, რომლებიც თავის გადარჩენას ცდილობდნენ, თავისი სახლიდან ცეცხლი გაუხსნა. პრეზიდენტის მხარდამჭერებზე გარეული ცხოველებივით ნადირობდნენ, ამიტომ მსხვერპლიც დიდი იყო. – ელოდით, რომ სამხედრო საბჭოს შეიარაღებული ფორმირებები ადამიანებს ესროდნენ? – ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვიყავით. ადამიანებს ჯიბეში პასპორტი ედოთ, რომ გარდაცვლილის ამოცნობა შესაძლებელი ყოფილიყო. 2 თებერვალს ჩვენ გვერდით, მუცელში დაჭრეს ჩუღურეთელი კოლორიტი მურთაზ ასათიანი. მაშინ ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს, მაგრამ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ამბავი რომ გაიგო, ინფარქტით გარდაიცვალა. წლისთავზე ცოლიც მიჰყვა. ბუტჩისტებმა მთავრობის სახლთან უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ლექტორი, ფეხმძიმე ქალი ციცინო ქვეციშვილი მოგვიკლეს. გადასასვლელ ხიდან ცხოვრობდა ქალბატონი, რომელსაც ტყვია ხერხემალში მოხვდა და წელს ქვემოთ მოწყვიტა. მოგვიკლეს 16 წლის ბავშვი მამუკა ტერაშვილი, რომლის სისხლიან პერანგს დედამისი დღემდე ინახავს. 3 იანვარს, დიდუბეში დახვრიტეს გივი რეხვიაშვილი. მამამისი ცნობილი მეღვინე იყო. შვილი დაკრძალა, ორმოცი გადაუხადა

და მეორე დღეს ინფარქტით დაიღუპა. ამ ოჯახიდან ცოცხალი მხოლოდ გივი რეხვიაშვილის დედა და ძმა გადარჩნენ და ის გადარჩენილი ძმა უკვე სააკაშვილის რეჟიმმა შეინირა. ფაქტობრივად, მთელი ოჯახი ამონყვითეს. პუტჩისტებმა მოკლეს მთანმინდელი ლევან ქავთარაძე. რომელი ერთი ჩამოგითვალთ. არასოდეს დამავინყდება, როგორ ეგდო ქუჩაში ყელგამოჭრილი ქალი. – არაოცნებია, რომ მსხვერპლი გაცილებით დიდი იყო. თბილისის შემდეგ 2 თებერვლის ჯოჯოხეთი სამეგრელოში გაგრძელდა. ნარკოტიკებით გაჟღენთილი ადამიანები არავის ინდობდნენ – არც ქალს და არც ბავშვს. კლავდნენ, აუპატიურებდნენ, ანამებდნენ, ძარცვავდნენ. იმის წარმოდგენაც კი ძნელია, რაც სამეგრელომ გადაიტანა. მიმანია, რომ ცოცხლად გადარჩენილი ადამიანები ვალში ვართ დალუპულების წინაშე, ამიტომ წლების მანძილზე მოვითხოვთ 91-92 წლებში განვითარებული მოვლენების სამართლებრივ შეფასებას და დამნაშავეების დასჯას, თუმცა უშედეგოდ. უამისოდ კი სახელმწიფოდ ვერასოდეს ვერ შევდგებით.

რომელსაც პირადად ვიცნობ 1997 წლიდან და მიმარჩნია, რომ ის არის საკუთარი ქვეყნის, საქართველოს გამორჩეული პატრიოტი, ჩვენი სახელმწიფო საზღვრის დედი-მითაცია-დემარკაციის პროცესის პროფესიონალი და შეუცვლელი ექსპერტი. წარდგენილი ბრალდება იმდენად აბსურდული და საღ აზრს მოკლებულია, რომ ამოწმების გარეშე მიჭირს. იმედს ვიტოვებ, რომ ეს დაწყებული გამოძიება ყველა არსებულ კითხვას ამოწმურავ პასუხს გასცემს და სრულიად უდანაშაულო, თავის ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანი მალევე გათავისუფლდება, – წერს გიგი გიგიაძე. მართლა ძალიან საოცარი და მარაზმამდე დაყვანილია ის ნარატივი, რითაც „აპრავებენ“ დანიის სამეფოში საქართველოს ელჩის ფეისბუქ-პოსტს, სადაც ის სამშობლოს ლალატში ექვემდებარება დაკავებას აბსურდს უწოდებს. მაგრამ გიგი გიგიაძე არის საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი... ვიმეორებ – საქართველოს სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და არა ცილა ტურისტია, ან „საშოპინგოდ“ ჩასული „როჟა“. რას ნიშნავს ფრაზა – მას

აქვს სიტყვისა და გამოსატყვის თავისუფლება? რას ნიშნავს ასეთი მიდგომა? ნუთუ არ არსებობს პროტოკოლი, არ არსებობს რეგულაციები და თუნდაც მორალური ფორმები, რომელიც ასეთი დონის წარმომადგენლობითი ფუნქციის მატარებელს შესაბამის შეზღუდვებს უწესებს? ე.ი. იმ გიგიაძემ კომპენსაციის ქუჩებში ტანგატრუსებით რომ ირბინოს „გამოსატყვის თავისუფლების“ ნორმით, ამის უფლება აქვს? უკაცრავად, ბატონო გიგი, მაგრამ თქვენ შიგ ხომ არა გაქვთ? ამ შეკითხვის დასმის უფლება მე მაქვს, მაგრამ სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩს არა! გაიგეთ სირებო? (ამის თქმის უფლებაც მომცა სახალხო დამცველმა). ...ეეჰ, ძალიან ბევრი რამ არის შესაცვლელი ჩვენთან („დანიის სამეფოშიც“!) და პირველ რიგში ის კადრები, რომლებიც გიგიაძის მსგავსად წყველი კომპიუტაციის შედეგად კარგ პოსტებზე არიან და კვლავ აზიანებენ და აზარალებენ ქვეყნის სახელსა და იმიჯს! **გიგაბარიძე**



ქართული „დელტას“ ჯავშანმანქანები ჯარს გადაეცა

საქართველოს თავდაცვის ძალებს სამხედრო-სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ მიერ წარმოებული 40-მდე ერთეული ჯავშანმანქანა „დიდგორი“, მათ შორის „დიდგორი მედევაკი“ და მრავალფუნქციური დანიშნულების სხვადასხვა ტიპის ჯავშანმანქანები გადაეცა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც თავდაცვის ძალები ადგილობრივი წარმოების ჯავშანმანქანებით აღიჭურვა.

ჯავშანმანქანა „დიდგორის“ ქვედანაყოფებისთვის გადაცემის ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC) დაესწრო. მისი განცხადებით, ქართული სამხედრო მრეწველობის განვითარების მაქსიმალური მხარდაჭერა და თავდაცვის ძალების ეროვნული წარმოების სამხედრო ტექნიკით აღჭურვა უწყებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

40-მდე „დიდგორის“ ტიპის სამედიცინო და მრავალფუნქციური დანიშნულების ჯავშანმანქანა თანამედროვე და მაღალი სტანდარტების მსხვერპლთაგან არის ანუბილი. სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანა „დიდგორი მედევაკი“ სამედიცინო დანიშნულების, უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების ზონიდან უსაფრთხო ტერიტორიაზე გადასაცემად და ტრანსპორტირების დროს პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად არის დამზადებული. სხვადასხვა ტიპის ჯავშანმანქანები „დიდგორი“ კი, მრავალფუნქციური და ჯავშანული სამხედრო-სატრანსპორტო საშუალებებია, რომელიც ბრძოლის ველზე პირადი შემადგენლობის გადასაცემად და სადაზვერვო ოპერაციების ჩასატარებლად არის განკუთვნილი. „დელტას“ მიერ წარმოებული ჯავშანმანქანები სამხედრო ქვედანაყოფებს განაწილების გეგმის შესაბამისად, ეტაპობრივად გადაეცემა.

მოღალატეებმა 3500 ჰექტარი ქართული მიწა „გააჩუქეს“

რომორც ჩვენმა მკითხველმა იცის, დავით გარეჯის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა დააკავეს.

„დაკავებული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი — ი.მ. და საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორი ნ.ი.

გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მიღებული წერილობითი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც წლების მანძილზე საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის ექსპერტების მიერ, სახელმწიფო საზღვრის შეთანხმებისას მუდმივად ხდებოდა რელიევანტური დოკუმენტაციის უგულვებელყოფა და მათთვის გვერდის ავლით საქართველოს საზღვრის დასაზღვრების მიღება. ამავ ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მოქალაქე, სხვა ქვეყნებში მოიძია და თავდაცვის სამინისტროს გადასცა მნიშვნელოვანი საარქივო მასალა, მათ შორის ტოპოგრაფიული რუკები, რომლებიც წარმოდგენილია გამოძიების წინაშე.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოძიებამ, სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოს სამთავრობო კომისიის ცალკეული ექსპერტების ქმედებების კანონიერების შესწავლა დაიწყო.

საქმეზე მოწმის სახით გამოიკითხა 60-მდე პირი, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, მათ შორის საქართველოს ეროვნული არქივიდან, საჯარო რეესტრის, სასაზღვრო პოლიციის, ეროვნული უშიშროების საბჭოს და საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებიდან, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, ეროვნული ბიბლიოთეკიდან, გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოდან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან ამოღებული იქნა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, მათ შორის

დავით გარეჯის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა დააკავეს



რის კარტოგრაფიული მასალები, დაინიშნა შესაბამისი ექსპერტები, რის შედეგადაც დადგინდა:

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის ადმინისტრაციული საზღვრის ხაზი რამდენჯერმე შეიცვალა და საბოლოოდ 1938 წელს ორმხრივად შეთანხმდა.

კერძოდ, 1938 წლის მარტში, საქართველოსა და აზერბაიჯანის უმაღლესმა მმართველობითმა ორგანოებმა დაამტკიცეს 1:500 000 მასშტაბის რუკაზე დატანილი ადმინისტრაციული საზღვრის ხაზი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოსა და მის მეზობელ სახელმწიფოებს შორის წარმოიშვა სახელმწიფო საზღვრის ხაზის დადგენის აუცილებლობა, რა მიზნითაც 1994 წელს შეიქმნა საქართველოს სპეციალური სამთავრობო კომისია, რომლის ამოცანას წარმოადგენდა ქვეყნებს შორის საზღვრის დელიმიტაცია და დემარკაცია.

1996 წლის ივნისში, საქართველოსა და აზერბაიჯანის სამთავრობო კომისიები

ერთობლივ შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ სახელმწიფოებს შორის საზღვრის დადგენის საფუძველი იქნებოდა 1938 წელს მათ შორის ორმხრივად დამტკიცებული ადმინისტრაციული საზღვრის ხაზი.

საქართველოს სამთავრობო კომისიის ერთ-ერთ წევრი და ამავდროულად ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი იყო ი. მ. და მასთან ერთად ამ პროცესს წარმართავდა კომისიის ექსპერტ-კარტოგრაფი ნ. ი. სხენებული პირები, საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესის განხორციელების მიზნებისთვის, ვალდებულნი იყვნენ ჩაეტარებინათ გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოები, მოეციებინათ შესაბამისი რუკები და სხვა მასალები, მოეხდინათ მათი შეჯერება, ანალიზი და მათ საფუძველზე შეედგინათ საქართველოს საზღვრის ამსახველი რუკის ალბომები. აღნიშნულის სანაშაღმდეგოდ, ბრალდებულებმა არ უზრუნველყვეს შესაბამისი აუცილებელი საექსპერტო კვლევების ჩატარება და ასევე აღნიშნულ პროცესში არ ჩართეს კარტოგრაფიის დარგის სპეციალისტები.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ბრალდებულთა მიერ შედგენილ ალბომებში ხდებოდა მათ მიერვე შეთანხმებული საზღვრის ამსახველი მონაკვეთების დატანა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენდა ორ სახელმწიფოს შორის, 2007 წლის ჩათვლით პერიოდში, საზღვარზე მოლაპარაკება-შეთანხმების პროცესის ძირითად

თად სახელმძღვანელო მასალას.

მიუხედავად იმისა, რომ მათ მთელი საქმიანობის პერიოდში, გააჩნდათ 1937-1938 წლების 1:200 000-იანი მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის დედანი, საქართველოს სამთავრობო კომისიის წევრებს უმაღლესდონე ინფორმაციას აღნიშნულის თაობაზე, რათა არ მოეხდინათ მისი გამოყენება საზღვრების დელიმიტაციის პროცესში. სხენებული რუკის დედანი გამოძიების მიერ სასამართლოს განჩინების საფუძველზე აღმოჩენილი იქნა ბრალდებულ ნ.ი.-ს სამუშაო კაბინეტში.

აღსანიშნავია, რომ კომისიის წევრებისთვის ხელმისაწვდომი იყო დასახელებული რუკის მხოლოდ ასლი და მათ მიერ არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, რომ მომხდარიყო ამ რუკის გამოყენება საზღვრის დელიმიტაციის პროცესში, ბრალდებულები იმ მიზეზით, რომ არ არსებობდა რუკის დედანი, მისი ასლი კი არ იყო ავთენტური დოკუმენტი, ეწინააღმდეგებოდნენ მის გამოყენებას.

ბრალდებულებმა რუკის ალბომებში სახელმწიფო საზღვრის გავლებისას განზრახ გამოიყენეს ისეთი კარტოგრაფიული მასალა, რომელიც ისტორიულად და სამართლებრივად არ ემყარებოდა და არ ასახავდა ჩვენი სახელმწიფოს რეალურ პოზიციას მის კუთვნილ ტერიტორიებთან დაკავშირებით.

კერძოდ: ი.მ.-მ და ნ.ი.-მ დელიმიტაციის პროცესში, სასაზღვრო ხაზზე შეთანხმებისას, ნაცვლად 1938 წლის კარტოგრაფიული მასალისა, მიზანმიმართულად გამოიყენეს 1970-80-იან წლებში გამოცემული 1:100 000-იანი და 1:50 000 მასშტაბის რუკებზე არსებული საზღვრის ხაზი, რომლებიც სახელმწიფოთაშორის ორმხრივად დამტკიცებული არასდროს ყოფილა და არსებით წინააღმდეგობაში მოდიოდა ჩვენს ისტორიულ საზღვრებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულმა ი.მ.-მ გამოძიებას არ გადასცა მის ხელთ არსებული 1970-80-იან წლებში გამოცემული 1:100 000-იანი მასშტაბის რუკები, რომლებიც მან საზღვრების დელიმიტაციის პროცესში რეალურად გამოიყენა, ქვეყნის ინტერესების სანაშაღმდეგოდ. აღნიშნული მასალების მოპოვება გამოძიებამ მხოლოდ ი.მ.-ს კუთვნილ სამუშაო ოთახში ჩატარებული ჩხრევის შედეგად შეძლო.

მას შემდეგ, რაც გამოძიებამ მოიპოვა 1937-1938 წლების 1:200 000-იანი მასშტაბის რუკა, მათი შესწავლისა და შეთანხმებულ საზღვრის ხაზთან დადარების მიზნით, ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაინიშნა კარტოგრაფიული ექსპერტიზა, რომელშიც ჩართული იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები და კარტოგრაფიული დარგის წამყვანი ექსპერტები.

მიღებული ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ბრალდებულები საზღვრების დელიმიტაციის პროცესში ხელმძღვანელოდნენ 1970-80-იან წლებში გამოცემული რუკებზე დატანილი საზღვრის ხაზებით, რაც როგორც აღინიშნა არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვარს, მათ შორის დავით გარეჯთან მიმართებით.

ჩატარებულ იქნა ექსპერტიზის დადგინდა, რომ საპარტიველოსა და აზერბაიჯანს შორის, 2007 წლის ჩათვლით პერიოდში, შეთანხმებული საზღვრის რიბი მოწინააღმდეგე არ შეიძლება იყოს 1937-1938 წლებში გამოცემულ 1:200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანილი საპარტიველო საზღვრის ხაზი, სხვაობა საპარტიველო საზღვრის ხაზს, შეადგენს 3500-მდე ჰექტარს. შესაბამისად, ბრალდებულთა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად საპარტიველო ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიების დაპარტივის საფრთხე შეიქმნა.

ი.მ.-ს და ნ.ი.-ს მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ათიდან თხუთმეტ წლამდე.

საქმეზე ბრძოლა დასრულდა გამოძიებით.

საპატრიარქო დავით გარეჯზე

ეკლესია ვერ გარეჯზე, სანამ საკითხი სასიკეთოდ არ გადაწყდება

საპარტიველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, საპატრიარქოში დავით გარეჯის საკითხთან დაკავშირებით სასულიერო პირების მორიგი შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე, დავით გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტი კირილი (ონიანი) და სხვა სასულიერო პირები ესწრებოდნენ.

„საქართველოს ეკლესია არაერთი წელია, აქტიურად გამოთქვამს თავის მკვეთრ პოზიციას ამ ტერიტორიაზე საქართველოს საზღვრებისა და ქართული მონასტრების ბედის თაობაზე. ეკლესია 15 წელია, ცდილობს, სახელმწიფოს დაანახოს პრობლემის მნიშვნელობა, ყოველ ღონეს ხმარობს მის მოსაგვარებლად და მაქსიმალურად იყენებს ყველა ტრიბუნას, რათა მართებული ინფორმაცია მიაწოდოს როგორც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, ისე საერთაშორისო საზოგადოებას“, — აღნიშნეს შეხვედრაზე.

საპატრიარქოს ცნობით, 1938 წლის რუკის შესახებ ეკლესია წლებია, მიუთითებდა საზღვრის დამდგენ კომისიას და ამ საკითხზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს.

„ადრეც არაერთხელ გაგვიცხადებია, რომ საზღვრის დადგენაზე მომუშავე ჯგუფმა საერთოდ არ იხელმძღვანელა აღნიშნული რუკით, ხოლო მისი რამდენიმე წლის წინ მოპოვებული ასლები ავთენტურად არ მიიჩნია.

შედეგად კომისიამ ხელი მოაწერა სასაზღვრო ზოლის განსაზღვრის ისეთ ოქმს, რომლის საფუძველზეც ამჟამად აზერბაიჯანელი მესაზღვრეები ჩიჩხიტურსა და უდაბნოს მონასტრის ტერიტორიას აკონტროლებენ.

დღეს კი დადგა ახალი გარემოებები, მოპოვებულ იქნა ამ რუკების დედნები ყველა აუცილებელი ნიშნით, რაც მის ავთენტურობას უჭყველს ხდის. შესაბამისად, ჩნდება შესაძლებლობა და აუცილებლობა, რომ ამ კარტოგრაფიული დოკუმენტაციის საფუძველზე მოხდეს 2006-2007 წლებში ხელმოწერილი კომისიის ოქმების გადახედვა“, — ნათქვამია საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.


საპატრიარქოს განცხადებით, ეკლესია ასე აქტიურად გარეჯის საკითხის გადაწყვეტაში იმიტომ ერევა, რომ დავით გარეჯის ლავრა და აქ მდებარე მონასტრები საქართველოს კუთვნილ მიწაზე მდებარეობს, ჩვენი ქვეყნის სინდინდეს წარმოადგენს.

ამასთან, აღნიშნული მონასტრები იურიდიულად საქართველოს ეკლესიის კუთვნილებია. შესაბამისად, ეკლესიის პირდაპირი ვალდებულებაა მათზე ზრუნვა და დაცვა, ეს არც დღეს დაწყებულა და არც დასრულდება, ეკლესია ვერ გაჩერდება, ვიდრე საკითხი სასიკეთოდ არ გადაწყდება.

იქიდან გამომდინარე, რომ საქმე ეხება საზღვრებს, გარკვეული ძალები ცდილობენ, ეკლესიის პოზიციას პოლიტიკური სარჩული დაუდონ, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მეგობრულ ურთიერთობას კი ჩრდილი მიადგეს. ამიტომ ეკლესია კიდევ ერთხელ გარკვევით აფიქსირებს თავის პოზიციას, რომ მისთვის მთავარია ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით, ყოველგვარი პოლიტიკებისა და დაძაბულობის გარეშე.

იმ ვითარებაში, როდესაც ეკლესია ასეთ უმნიშვნელოვანეს პროცესშია ჩართული, მიგვაჩნია, რომ ეკლესიისა და საპატრიარქოს მიმართ ყოველგვარი ცილისწამება პირდაპირ უკავშირდება დავით გარეჯის პრობლემატიკას.

აზერბაიჯანს მართლა დაუდგა პარსკვლავის საათი?!



„ბაქოს წესდებაში აქვს მუხლი იმუღებთი მშვიდობის შესახებ, ერთი-ორჯერ გამოუყენებია კიდეც ეს მუხლი, თუნდაც სუცის კრიზისის დროს, როდესაც თავისი ჯარი გაგზავნა სუცში, მაგრამ ახლა არ არის საამისო ვითარება სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გადასაჭრელად“
— აცხადებს პოლიტოლოგი სოსო მინსაძე.

— აზერბაიჯანელები აცხადებენ, რომ სამართლიანობის აღდგენის უმთავრესი საფუძველია ალიევის თქმით, ფაშინიანი დასამარცხებლად მსოფლიოს ლიდერებს ურევავს და ევედრება დახმარებას, თუმცა ალიევის სიტყვით, ფაშინიანს აზერბაიჯანის წმინდა ქალაქი რომ არ შეერაცხეო, ეს საკითხი მოლაპარაკების გზით გადაწყვეტად. როგორ გგონიათ, რა რესურსი რჩება სომხეთს მსოფლიო უკან დახევის?

— დღეს უკვე ჩინთა შესული მოლაპარაკების პროცესი, ვინაიდან ორივე მხარე აცხადებს, რომ იომებენ გამარჯვებისთვის. სომხეთი ამბობს, რომ ომობს ფიზიკური გადარჩენისთვის, რისიც არავის არ სჯერა. აზერბაიჯანის მხარეს უფრო მეტი იურიდიული საბუთი გააჩნია მინა-წყლის მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, მით უმეტეს, აზერბაიჯანის მინა-წყლის მთლიანობას არცაბისა და 7 პროვინციის ჩათვლით აღიარებს გაერო და ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია. დღეს უკვე შეუძლებელია, რომელიმე მხარემ თანხმობა განაცხადოს ცეცხლის შეწყვეტის მოლაპარაკებაზე ისე, რომ მან სახე არ დაკარგოს. ალიევის არ ემუქრება თანამდებობის დაკარგვა და გადადგომა, აზერბაიჯანში სხვა ვითარებაა, ფაშინიანი კი ასპროცენტიანად გარანტირებული და დაკარგავს თანამდებობას, მით უმეტეს, ფაშინიანი მოსკოვსაც გულზე არ ეხატება. ახლა ფაშინიანის სტრატეგია იმაში მდგომარეობს, რომ, რაც უფრო ამბავრებს ვითარებას, ცდილობს, როგორმე დაამტკიცოს და დააჯეროს რუსეთიც, ევროპაც და მთელი მსოფლიოც, რომ აზერბაიჯანი ომს აწარმოებს არა მხოლოდ მთიანი ყარაბაღის, არამედ სომხეთის წინააღმდეგაც. თუ დამტკიცდება, რომ აზერბაიჯანი მართლაც ბომბავს სომხეთის ქალაქებს, მაშინ უკვე პუტინი ვეღარ გაეცევა ვალდებულებას, ვინაიდან ოდეს-ღაც განიზაცია სამხედრო მოკავშირეობას გულისხმობს და იქ პირველი მუხლი პირდაპირ ლაპარაკობს იმაზე, რომ მხარეები ვალდებულნი არიან, ერთმანეთს აღმოუჩინონ სამხედრო და სრული დახმარება, თუკი ისინი გახდებიან სამხედ-

რო აგრესიის მსხვერპლი. ამიტომ ფაშინიანმა უნდა დაამტკიცოს, რომ ალიევი არა მხოლოდ მინა-წყლის მთლიანობის აღსადგენად იბრძვის, არამედ სომხეთსაც ებრძვის იმ მინა-წყლისთვის, რომელიც კანონიერად სომხეთისაა.

— თქვენ მიიჩნევთ, რომ სომხეთმა აზერბაიჯანის მასშტაბური აგრესია უნდა დაუმტკიცოს მთელ მსოფლიოსაც და რუსეთსაც, მაგრამ ამ ეტაპზე თურქეთი ესმარება აზერბაიჯანს, რუსეთი კი თავს იკავებს, მიუხედავად იმისა, რომ ყარაბაღის დედაქალაქ სტეფანაკერტიდან საშინელი კადრები ვრცელდება.

— რუსეთი თავს იკავებს, რადგან რუსეთს დღეს არავითარი საბუთი არა აქვს, რუსეთს არანაირი ხელშეკრულება არა აქვს დადებული მთიანი ყარაბაღთან, მთიანი ყარაბაღი ამბობს, მე დამოუკიდებელი ვარ. მაგალითად, აფხაზეთმა დადო ხელშეკრულებები რუსეთთან და, თუ მომავალში რომელიმე ქართული მთავრობა გადაწყვეტს, ძალა გამოიყენოს, რუსეთი ვალდებულია, ჩაერიოს და თქვას, სოხუმი ჩემი მოკავშირეა, მაგრამ სტეფანაკერტი არ არის რუსეთის მოკავშირე, ამიტომ რუსეთს არაფერი არ ესაქმება სტეფანაკერტთან. ალიევიც ფრთხილობს, რომ მართლაც შემთხვევით არ დაზიანდეს სომხეთი.

— თუკი სომხეთი დაარწმუნებს მთელ მსოფლიოს, რომ მას მთლიანად ერჩის აზერბაიჯანი და მსოფლიო ყარაბაღზე არ არის საუბარი, მაშინ პუტინი იძულებული გახდება, სომხეთს დაესმაროს. როგორ გგონიათ, პუტინი რეალურად ჩაერევა ამ საქმეში?

— სხვანაირად არ გამოვა. მაშინ პუტინი კატასტროფულად აღმოჩნდება დიპლომატიურ ჩინში. ერთი მხრივ, მაშინ მან უნდა დაკარგოს სომხეთი, როგორც მოკავშირე, მეორე მხრივ, თუ ამ საქმეში ჩაერევა, საშინაოდ უნდა დაკარგოს აზერბაიჯანი და, როგორც საქართველოსთან აქვს ურთიერთობა, ისეთი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს აზერბაიჯანთანაც.

— ალბათ, ამითაც იყო განპირობებული, რომ თავის დროზე ყარაბაღის მიმართ არ აიღო მეურვეობა რუსეთმა, როგორც ეს აფხაზეთთან და ცხინვალთან მიმართებით მოხდა?

— არ აიღო მეურვეობა, რადგან არც ყარაბაღს უთხოვია. პუტინი არც იყო 1994 წელს რუსეთის ლიდერად, ყარაბაღის ომი რომ დაიწყო. ლაჩინის დერეფანი რომ აიღეს სომხებმა მაშინ, პრაქტიკულად, ყარაბაღი და სომხეთი ერთმანეთს დაუკავშირდა, მათ უკვე საერთო საზღვარი აქვთ. ადრე არ ჰქონდათ საერთო საზღვარი, ადრე ყარაბაღი ანკლავით იყო.

— ალიევა ხელსაყრელი დრო შეარჩია?

— ალიევი გრძობს, რომ სათავისო დრო დაუდგა, რუსეთს თავისი გასჭირვება, პანდემია და პუტინისთვის დაუშვებელი ფუფუნება იქნება, აქტიურად ჩაერიოს ამ კონფლიქტში, ევროპასაც, მინსკის ჯგუფსაც, საფრანგეთსაც ამისთვის არ სცხებია, იქაც პანდემიაა, ამერიკაში ტრამპი ჰოსპიტალშია და რა ეყარაბალება. ალიევიც, ეტყობა, გრძობს, რომ ასეთი მომენტი მას შეიძლება, არც ჰქონდეს, თანაც, თურქეთში სანამ ერდოღანი, რომელიც არ ერიდება არც საფრანგეთის მომდურებას, არც ევროპის მომდურებას, ესეც მისთვის ხელსაყრელია. ერდოღანი დარწმუნებულია, რომ რუსეთი არ ჩაერევა ამ კონფლიქტში. ასე რომ, ალიევისაც სჯერა, რომ ხელფები გახსნილი აქვს, ერდოღანსაც სჯერა ამის, პუტინმა კი იცის, რომ ხელფები შეკრული აქვს. რაც შეეხება საფრანგეთს, ამერიკას, მათ ტრადიციულად ერთი იარაღი დარჩენიათ — მონოდება, შეშფოთება, შეგონება.

— თურქეთის საქციელი ამ შემთხვევაში რით არის ნაკარნახევი, მხოლოდ კონფესიური, რელიგიური მხარდაჭერით, თუ სამხრეთ კავკასიაში პოზიციების გაძლიერებით?

— ამ კონფლიქტამდეც თურქეთი და აზერბაიჯანი მოძმე ქვეყნები იყვნენ, განსხვავების მიუხედავად, ერთმანეთის ენაც ესმით, ერთი ხალხია, იქ შიიტებია, აქ სუნიტებია, მაგრამ ასეთ დროს ამას გადაამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. უკან ვერავინ ვერ დაიხვეს, იგივე ერდოღანიც ვერ დაიხვეს. უხეშად რომ ვთქვათ, ერდოღანმა რომ გადააგდოს აზერბაიჯანი, მაშინ შეიძლება თვითონ ერდოღანი ვეღარ გადაურჩეს თავის ქვეყანაში საპროტესტო გამოსვლებს. კი, ერთხელ სამხედრო შეთქმულებიდან დაიძვრინა თავი, გადარჩა, მაგრამ მეორედ ვეღარ გადარჩება. რაც შეეხება ალიევს, როგორც ჩანს, მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ყარაბაღის პრობლემა გადაჭრას რეალურად და არა მითითურად, ვინაიდან კაცობრიობის ისტორიაში მე ვერ ვიხსენებ შემთხვევას, ომით დაკარგულ ტერიტორიას მშვიდობიანი მოლაპარაკებით იბრუნებდეს ვინმე. ეს მითია. ამიტომაც ერდოღანიც კი ევროპას დასცინის, თქვენ სასირცხვილოდ ისიც გეყოთ, რომ 30 წელი ვერაფერს ვერ აკეთებთო. აქ იგულისხმება ყარაბაღის კონფლიქტი, მინსკის ფორმატი და შენევის პროექტი-საქართველო-აფხაზეთის კონტექსტში. უკვე აღარავის სჯერა ამ ფორმატების რეალობის. ბორდერიზაციაც ვერ შეჩერდა, ადამიანის გატაცებებსაც ვერ მოელო ბოლო. როგორც ჩანს, ამჯერად აზერბაიჯანს მართლაც დაუდგა, როგორც ალიევის წინაშე, ვარსკვლავის საათი.

— და ეს იქნება ისტორიული სამართლიანობის აღდგენა აზერბაიჯანისთვის?

— აზერბაიჯანისთვის ეს იქნება მინა-წყალი მთლიანობის აღდგენა. სულთანს კი ეძახიან ერდოღანს არაოფიციალურად, მაგრამ შეიძლება ოფიციალურად ალიევის მთელი საგარეო ურთიერთობების ტიტულში აიყვანონ, თუკი ეს მოხდა. თანაც, საყურადღებოა, რომ ცოცხალი ძალის მსხვერპლი შედარებით ნაკლებია, რადგან ეს არის ახალი ფორმატის ომი, ძირითადად დრონების მონაწილეობით. აზერბაიჯანის უპირატესობა ისაა, რომ სომხეთის შეიარაღება მოძველებულია, რაც საბჭოთა კავშირიდან დარჩა და, რაც პირველი ომის შემდეგ ნადავლის სახით აზერბაიჯანს წაართვა, მაგრამ მთელი ამ წლების განმავლობაში აზერბაიჯანი მსოფლიოს პირველ ხუთეულში შედიოდა იარაღის შესყიდვის მასშტაბის გათვალისწინებით. ისრაელის და სამხრეთ კორეის დრონების შესყიდვით იყო დაკავებული, რომლითაც ხდება ზუსტი დაბომბვები. ასე რომ, უკან ვერავინ გადადგამს ნაბიჯს. გაეროს წესდებაში აქვს მუხლი იძულებითი მშვიდობის შესახებ და ერთ-ორჯერ გამოუყენებია კიდეც ეს მუხლი, მაგალითად, სუცის კრიზისის დროს, როდესაც თავისი ჯარი გაგზავნა სუცში 1956 წელს, მაგრამ ახლა არ არის ის ვითარება. თანაც ეს ნებაყოფლობით უნდა მოხდეს, სახელმწიფოებმა თავის თავზე უნდა აიღონ ვალდებულება, თუმცა არა მგონია, რომელიმე სახელმწიფომ თანხმობა განაცხადოს, იძულებითი მშვიდობისთვის სამხრეთ კავკასიაში გაგზავნოს ჯარი.

ესაუბრა მანანა ნოზაძე

სომხეთის „სასონარკვეთილი ჟესტი“

სომხეთის არ შეუძლია, აზერბაიჯანთან ხანგრძლივ ომს გაუძლიოს და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე იერიშის მიტანით საერთაშორისო მოთაშეების ყურადღების მიქცევას ცდილობს. ამ ქვეყანას შეეძლო, რუსული „ისკანდერი“ ზეზუსტი დარტყმა მიეყენებინა ნავთობსადენზე, თუ ნამდვილად სტრატეგიული ობიექტის დაბომბვა სურდა, — ამის შესახებ 2020NEWS-თან საუბრისას ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე აცხადებს.

მისი თქმით, სომხეთის ეს ქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც „სასონარკვეთილი ჟესტი“.

„პრაქტიკულად, სომხეთს არ შეუძლია, აზერბაიჯანთან ხანგრძლივ ომს გაუძლიოს. ამის არც სამხედრო-ტექნიკური და არც ადამიანური რესურსი აქვს. სომხეთს

სჭირდება, აზერბაიჯანი სამშვიდობო მოლაპარაკებაზე დაიყოლიოს, ამასთან, უნდა დაანახოს მსოფლიო ლიდერებს, იმ შემთხვევაში, თუ აზერბაიჯანი სამშვიდობო მოლაპარაკებას არ დათანხმდება, სომხეთს შეუძლია რეგიონში მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნას. ამას ნიშნავს მინგეჩაურის წყალსაცავისა და ახლა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენზე იერიშის მიტანა. ეს არის სომხეთის „სასონარკვეთილი ჟესტი“, ან ტაქტიკური ჩანაფიქრი“.

— აცხადებს მამუკა არეშიძე სააგენტოსთან საუბრისას.

მამუკა არეშიძის განცხადებით, სომხეთმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მიმართულებით გასროლა განხორციელა, თუმცა არა დამიზნებით.

„სომხეთს რომ სდომოდა ნავთობსადენის აფეთქება, მას აქვს ზეზუსტი იარაღი, როგორიცაა ბალისტიკური რაკეტა „ისკანდერი“ და სხვა. მცირე რაოდენობით, მაგრამ აქვს. მას შეუძლია, მაღალი სიზუსტით ესროლოს მონიშნულ ობიექტს“, — განმარტავს არეშიძე.

შეზღვევით, აზერბაიჯანის გენერალური პროკურატორის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 6 ოქტომბერს, 21:00 საათზე სომხეთმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენზე სარაკეტო იერიში მიიტანა.

უნწყების ცნობით, სომხეთმა რაკეტა-

ბი ესროლა მილსადენის ნაწილს, რომელიც ევლახის რეგიონში გადიოდა. რამდენიმე დღით ადრე კი სომხეთმა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე კიდევ ერთი სტრატეგიული ობიექტი — მინგეჩაურის წყალსაცავიც დაბომბა.

ირინა მამარიძე



სიტყვაშივე მე და ლადომ დავინახეთ ვაჭიმული ცისარტყელა, – თქვა გოგლამ, – ლაპარაკიც ამაზე ჩამოვადგეთ და ვხსნიდით სოფელურად სოფელში გავინიღებ: თუ ცისარტყელაში ყვითელი ფერი სჭარბობს, მაშინ იმ წელს პურისა და სიმინდის მდიდარი მოსავალი იქნება; თუ ცისარტყელას წითელი ფერი დაჰკრავს, ღვინის დიდი მოსავალი მოგვივაო; თუ მწვანე ფერი დასძლევს, ხილის სიუხვე იქნებაო. ლადომ გუდასმეილის ცისარტყელაში ყვითელი ფერი თანაბრად დიდი მოსავლისაა. მისმა ფუნჯმა შეიწოვა მთელი საქართველოს ფერები, მის ტილოზე იწვის საქართველოს მზის მცხუნვარება. ლადოს მხატვრობა ჯამა საქართველოს მზის სხივთა ელვარებისა. მან გააბრწყინა ფერები მზისა, ვენახისა, წითელი ხობისა, ცათა სილურჯისა, საქართველოს მადლა ზურმუხტის, ოქროსი თუ ბროწეულის, ლალის თუ წყალთა ფერებისა, მაისის მთვარისა და გაზაფხულის ნასიმზისა.

ლადოს კეთილშობილი კოლორიტი ფაქიზი გემოვნებაა, მუსიკალური მთრთოლვარე ხაზი სიმდიდრეა ჩვენი მხატვრობისა. იგი ღირსეული მემკვიდრეა და შთამომავალი დიდი ქართველი ოსტატებისა, რომლებმაც გააბრწყინეს უბისი, ყინწისი, დავით გარეჯა, ატენი, გელათი, სვეტიცხოველი. მათგან ნათელი ნიჭისა, მათგან თავდამბალი, დაუცხრომელი მოღვაწე, მუდამ მშრომელი, მუდამ მძიმებელი. გარდასული ქართული მხატვრობის, სურათმოდერნების, კალიგრაფების სახელების შესახებ თითქმის არა ვიცით რა. რაც შეეხება ჩვენს თანამედროვე შემოქმედს ლადოს, უნდა ითქვას, რომ იგი არის უკეთილშობილესი ადამიანი, განთქმული თავისი პატიოსანი გულით, ხასიათითა და სინდისით; ადამიანი, რომელმაც თავისი უმრავლო ცხოვრებითა და რუდუნებით პირადი მაგალითით აამაღლა სახელწოდება მხატვრისა და ხელოვნისა საქართველოში.

„დაყურდნებული შენ ხარ ვენახი, რა სიტკბოებით დაჰმჩივებულა! მე ნიამორი შენი მედახის, შენის პირიშვით განცვიფრებულვარ!..“
 ძველი დღიურიდან: „პრავდაში“ დაიბეჭდა ეკონომისტ ბეჩინა ხასიაზე გოგა ლებანიძის კრიტიკული წერილი... ზედღატანებზედ ირაკლი აბაშიძე ამოვიდა „მოლოდიოჟ გრუზიდან“, სადაც ირაკლის მიჭი ვატო მუშაობს, და თქვა: ვის მოეხასიათა ხასიას გაკრიტიკებო. სიტყვა გაათამაშა, რაც ირაკლის ძალიან ეხერხება...

გოგლა აშკარად უყვარდა და ცდილობდა, რომ სულ იმის განშეშორებით ვლადიმერ ალფინიძეს, ედუარდ შევარდნაძის თანამემჩენს, რომელიც გრძელ-გრძელ და ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს უწერდა რუსულად. სწორედ ამ ალფინიძემ ათქმევინა რუსეთზე ერთ-ერთ სიტყვაში ედუარდს, მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო, რაც დღემდე შევარდნაძისთვის სანიშნისგვებოდა არის გამხდარი. იმ დღეებში თბილისში იყო სტუმრად ჩამოსული მავანი ამერიკელი პოეტი (გვარი რატომღაც არ დამიწერია) მგონი, პერესი, რომელსაც ალფინიძე ემასპინძლებოდა – წინასწარ იმის ლექსიც გადმოაგონა ქართულად. ლექსს „კარტოფილი“ ერქვა (მერე მესიკ ხარანაული დაწერს „კარტოფილის ამოღება“ სახელდასმულ-მულ ლექსს, სხვათა შორის, სვანეთის ციკლში მურმანსაც აქვს, ლებანიძეს, ასეთი სტრიქონები – „აყვავებული კარტოფილი, ყვავილიანი სათამბე...“). ლექსის დედაარსი ის იყო, რომ კარტოფილი მთელ მსოფლიოში ამერიკიდან გავრცელდა. ხშირად პურის მაგივრობას ეწეოდა და უდავლად არი ხალხი გადაარჩინა სიყმილით სიკვდილს... ვალოდამ ჯერ მე დამირეკა, ამერიკელი სტუმარი მყავს, დიდმისკენ უნდა გავასიერო თითო ლექსში, გოგლასა და მორის ფოცხიშვილსაც ვეტყუე, გაუარე და ერთად მოდიოთ ოთხ საათზეო. ითქვა და შესრულდა. მიჭო, ვალოდია, როგორც ჩანს, რახან ლექსიც დაუწერია, კარტოფილი მავრა ეყვარება და ნაირ-ნაირად შემწვარი და მოხრაკული, მოხარულიც იყვებს, არა დაშავდება რაო, უთხრა ალფინიძეს გოგლამ. თანაც უკვე ახალი კარტოფილია შემოსულიო. სტუმარი კარგი ხასიათის, მხიარული ნიშაბის კაცი გამოდგა. თამადად, ცხადია, გოგლა ავირჩიეთ, რაც სტუმარს სუფრის პრეზიდენტად, თვამჯდომარედ გადავუენეთ (უფუნქციო, უდაბნულზედ თანათავმჯდომარეს, ესე იგი, მოადგილეს, გოგლა თანამჯდომელს ეძახდა). იმან ხელად მოკონოტი ამოიღო და სიტყვა „თამადა“ ჩაიწერა, ინგლისურს ენაში დაგამკვიდრებო. ბოლოს სუყველამ თითო ლექსი წარმოთქვა, გოგლამ – „ოლე“, მორისმა – „ლაზიერის გამბიტი“, რომელიც ასე მთავრდება:

„ყველა პაივი მეფისთვის იზრძვის, ყველა პაივი მეფისთვის კვდება, მაგრამ, ო, მაგრამ აღრე თუ გვიან მეფეს და პაივს ერთ ყუთში ყრიან. ერთ მცირე ყუთში ერთად თავსდება აზრი, ოცნება, სიმართლე, ჭორი...“
 წინა დღეებში მორის ჩემეული ქართულად გადმოწერული ჯანი როდარის „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“ ვაჩუქე, როგორც ჩანს, იმ მხებედროთი ისარგებლა და თეთრ ხელსახოცზე წამიწერა:

„ღმერთმა მოგცეს ჯანი, დრო, დარი, დაჯექი და თარგმნე ჯანი როდარი...“
 ამერიკელს კი თავისი „კარტოფილი“ წაეკითხეთ.

მაღევე, მასხოვს, ვლადიმერ ალფინიძე შევარდნაძეს გაეპარა იტალიაში და იქ პოლიტიკური თავმსახურის მოთხოვნას აპირებდა. იმხანად

იმის მეუღლე ეთერ ფაცურია ჩემთან მუშაობდა ჯერ კიდევ „პარტიულ სიტყვაში“ (მერე „საზრისი“ დაერქვა). სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ეთერი თავის წარმომადგენელთან ერთად ვაგზავნა იტალიაში (ეს ყველაფერი საიდუმლოდ ხდებოდა), წარმომადგენელს თან ირაკლი აბაშიძის მცირე ბარათი გაატანა (რომლის დაწერის თაობაზე მე მოველაპარაკე ირაკლის). „მან რა გინდა, ჩემო ვალოდია, იტალია კარგი ქვეყანა კია, მაგრამ შენს საყვარელ საქართველოს რითი სჯობიან? გამოჰყვე ეთერი და ჩამოდიოთ“, – სწერდა ირაკლი. როგორც ჩანს, ყველა სხვა ღონისძიებაზე მეტად ალფინიძისთვის დიდსახელიანი პოეტის სიტყვამ გაჭრა...

ერთხელაც უკვამ ჩამოვადგინა, საქართველოს მწერალთა ერთ-ერთ ყრილობაზე როგორ შეუტია მუჟავანაძემ დევი სტურუას. მუჟავანაძის საყრილობო სიტყვაში მთელი ამბაცი ეძღვნებოდა ნაკლებად ცნობილ ახალგაზრდა რუსთაველ პოეტს ვინმე შავლობაშვილს. დარბაზი ჯერ აჩუჩუნდა, მერე აჩუჩუნდა, ბოლოს კი აგუგუნდა. მუჟავანაძე მიუბრუნდა ყრილობის პრეზიდენტს მჯდომ სტურუას და უსაყვედურა, ამ საწყალი მიჭის მეტი გასაკრიტიკებელი ვერაფერია ვერ ნახეთო, ლეონიძეს და აბაშიძეს, ირაკლის, ვერ გაუბედეთ კრიტიკა, არაო? დევი სახეწაშლილ-წამონთებული წამოდგა და თავი იმართლა, ვასილ პავლოვიჩ, ახალგაზრდებს თავიდანვე თუ არ მივუთითეთ, მერე სწორი გზით ვერ ვეღიანო... ჩემდა გასაკვირად, მუჟავანაძემ მოდიმი მოუხადა

გამოსვლემ რუსულად (მაშინ ასე იყო). ვასოს ორი თვალადი გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავდაო, ერთ-ერთი იმ ჩვენს მეცნიერთანამშრომელს მოსწონდა, მაგრამ გოგოს ეთქვა, თუ მამაჩემს არ შეუთანხმდი, ისე ვერ გამოგყვებიო. და მისულა ის ჩვენი თანამშრომელი ვასოსთან, ქალიშვილის ხელი უთხოვიაო. ვასოს უკითხავს, რა ხდება, რით მოვარწნა ჩემმა შვილმა თავი? კარგი მონაცემების გოგოაო, უთქვამს ჩვენს თანამშრომელს. რაიო, რაიო, ცეცხლი წაუკიდა ვასოს, თქვენ რა, საქმე წინასწარ უკვე გაჩანხეთ და ახალა მოხვედრი ხელის სათხოვნელად? მერე დავიდარბაზის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ვასო შერეგებია სასიძოს და, როგორც ამბობენ, მერე სუფრაც გაუშლიაო. სულ მუხუნა-მუხუნით ყვებოდა გოგლა ბატონი ამ მართლაც სახალისო ამბავს...


თავად გოგლას არ მოუყოლია, ერთხელ სიტყვამ მოიტანა და რედაქციაში სტუმრად ამოსულმა აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ მიაშმო:

მე და გიორგი ლეონიძეს, ბორჯომში მატარებლით მიმავალი, ერთი არცთუ ხნიერი რუსი დაგვემგზავნაო. მთელი გზა ფანჯარაში იყურებოდაო. მატარებელმა მტკვარ-მტკვარ გასწვრივ რომ დაიწყო ველა, რუსმა იკითხა, ეტა ჩტო ზა რეჩუჟკაო, ეტყობა, ციმბირიდან იყო, ლენას ან ენისეის ნაპირებიდანო. გოგლამ იწყინასავით და ეგრევე შეუძახა, ეტა ზა რეჩუჟკა, ა ველკაია ნაციონალნაია რეკაო. რუსი მიხვდა, ქართველები, მგონი, გავანაწყენდა, და საქართველოში პირველად ვარო, მეპატიებო, მოდიმივით მოიხადაო.

გაყრამ გოგოაშვილი

ჩემი ბიოგრაფიული

პინს ქართული ენის ნაყოფიარ სოდაბუნში, როგორც გულთმისანაბ გუთინსდედამ, მარადიული ღალიანი ორნატი ბათიარკა



ახალგაზრდა რუსთაველ პოეტს და უთხრა, მე ნუ დამამხრალე, სულ სტურუას ბრალიაო... ამ ამბის თქმისას თან ბუბუნებდა გოგლა, მუჟავანაძე ნამდვილად ალალი, კაცობილი კაციაო. თუ ვინმე ვისმე დაასმენდა, მაგან დიდი, ლამაზი სახლი ააშენებო, მუჟავანაძე იცავდა ხოლმე იმ სახლის ამშენებელს, „რას ერჩით, თან ხო არ წაიდებს, ის სახლი შეიღებეს დაჩვენებო, სახლი რომ აღარ ექნებათ ასაშენებელი, სხვა კეთილ საქმეს მოახელეკეთილმეგნო... ძალიან კარგია, როცა ხელმძღვანელმა ადამიანის გაფრთხილება იცისო. გოგლა თვითონ იყო ასეთი და სხვათაც უწონებდა მსგავს საქციელს, მეტადრე რესპუბლიკის თავკაცთ, რომელთაგან ზოგიერთი თავისი კარიერის გულისთვის ხშირადრე ნამეგობრალთაც არ ინდობდა გამჩვენებობის მიზნით, ნახეთ, რა პრინციპული ვარო...

კიდევ ერთი სახალისო ამბავი... ერთხელ გოგლა ინსტიტუტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა შინ მიიპატიჟა, დილომში, კარგი ოჯახია, წამოდი, გაგაცნობო. ჩავედი. მიაკოვსკის ძველის დანახვამ ვასო ლაფერაშვილი ჩამოვადგინა. იყო ერთი ასეთი კარგი ქართველი კაცი. რუსულის ჩინებული მცოდნე, მიაკოვსკის ერთ-ერთი პირველი გადმომქართულმელი (როგორც და რა ხარისხით, ამაზე არაფერს არ ვამბობ). თვით უანდიდ ჩარკვიანს ეთანამემჩენებოდა. ის უწერდა იმას გრძელ-გრძელ და ბრტყელ-ბრტყელ

თვითონ გოგლა ანექლოტივით ყვებოდა ერთ ამბავს, რომელიც მოსკოვში მიმავალ შალვა ნუკუბიძეს შემთხვევით, გვერდით რუსი გენერალი სჯდომია და, ჩანს, გამოლაპარაკების მიზნით გენერალს შალვასთვის უკითხავს, პოჩემუ ლენინორტოვ პიშეტ, მეჟალი რომევი გრუზინიო? შალვას ჯერ ყურადღებამ არ მიუქცევია, რუს გენერალს კიდევ უკითხავს, ნუყული გრუზინი რომევი ნაროლო? ვი პერევის, რომევი ი რუსკიე მვიაიუტო, ა, ვო ვტორის, გრუზინი მეჟალი, მეჟალი ი ლო კრემლია ღომეჟალიო, ცოტა არ იყოს, გამზარებულს „უჯახებია“ შალვას იმ თავხედი რუსი გენერალისთვის. გენერალს ფერი შესცვლია კრემლის სხენებზე. ემანდ შარში არ გავხვებო, ვიხუმრე ამხანაგო, ვიხუმრე, მაშატიევი, – თავი შეუცლოდებია რუს გენერალს შალვასთვისო. ამა, ნუკუბიძეს ის ვივინდარა როგორ აჯომებდა ლაპარაკშიო, თანაც რუსული შალვამ, მგონი, იმაზე კარგად იცოდაო, – კმაყოფილი ამბობდა გოგლა.

კიდევ ერთი ჩანაწერი: დღეს რედაქციაში მოვიდა ნიკო კეცხოველი. მე არასოდეს მოწყენილი არა ვარ მინდერადო. ყველა ყვავილი და ბალახი მიყვება თავის თავგადასავალს, რომელი საიდან მოვიდა, რა გზა გამოიარა. „ცხრათვალა მზის ქვეშ“ მისასხოვრა. რა ბედნიერი კაცია, ვაჟა-ფშაველა თუ პოეტი მინდია იყო, ნიკო მცენიერი მინდიაა, ჭემმარატი მთვანიკოსია. ამ ორი თვის წინათაც იყო. მაშინ „კმა ყმა“ მოიტანა.

აღარ ჩამიწერია, რა ნადიმი იყო, მაგრამ, მგონი „ივერიაში“ პირველ სართულზე ნიკო თავის დამადების სამოც წლისთვის აღნიშნავდა. უკვე გამოსვლები დაწყებული იყო. ის-ის იყო სერგო ქობულაძემ მიულოცა და ახლა გიორგი ლეონიძე იღვა მიკროფონთან. ამ დროს, დაგვიანებით, შემოვიდა ოთარ კაციტაძე, ჟურნალ „სამჭოთა სამართლის“ რედაქტორი, მიკროფონთან მივიდა, ბოდიში მოუხადა გოგლას და მიკროფონში ჩაიძახა, უნდა მაშატიოთ, ბატონო ნიკო, უცაბედოდ რაღაც სასწრაფო საქმე გამოიმჩინაო და გადაკოცნა იუბილარია. გოგლამ თავისებურად გადაარჩინა დაგვიანებული სტუმარი: არა უშავს რა, ოთარ, გეპატიება, სამართალმა გვიან იცის მოსვლაო... ეგრეა, ეგრეო, დაუდასტურა ნიკომ. (27.XII.63 წ.)

უკვე მერე, 1970 წლის 27 მაისს, გოგლას ვარდაცვალებიდან 4 წლის შემდეგ და დაბადების 70 წლისთავის გამო ნიკო კეცხოველი მოვიგონებს:
 ჩემს მოგონებას „უკანასკნელი შეხვედრა“ ვუწოდებ. გაზაფხულის დღე იყო, რუსთაველის პროსპექტზე მოვიდოდი და ვხანობდი კარგი დღით, ლამაზი ხალხით. ა. ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში გოგლა იღვა. თვალეში მოეჭურა და ცისკენ იყურებოდა. გამარჯობა ვუსურვე. თითქოს გამოეღვიძა, – მოდი, სად მიიქარიაო. მივედი, ხელი გამომიწოდა. – მოდი, უნდა გადაგვხვიო. გადამიხვია. გამოვივინდა. მართალია, დიდი ხნის მეგობრები ვიყავით, მაგრამ ასეთი გულჩევილება არა სჩვეოდა. გამიშვა ხელი. ნაბიჯი უკან გადადგა. პირს დიმილი უერთოდა, მაგრამ თვალს ცრემლი მოსდგომოდა.



- მიჭო, რა დაგეგმართა? - შევეკითხე ცოტა არ იყოს შემოთავაზებული.

- ეს, არაფერი, ისე დაგეგმე, ვერ ვნახე ტემო, შატ-ბერდი... ეს, დრო მიდის, - წაიბურღუნა თავისებურად. - ვერას მეუბნები განა? შენ მე ვიცი, მე ქვევით! - და წავიდა თავისი დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით. მივდიოდი და ფიქრებულად, დაღონებულად და დარდად ჩამყავა ეს შეხვედრა. მაგონდებოდა:

„მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“ წუხელის დიდხანს, გათენებამდი. როგორ გლენჯავდნენ, ჩემო ქალაქო, სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი! გამოგვარდები, ხან თუ აღარა, კიდევ გაისმის ქუჩებში ჩეხვა? ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენს აზრებს და მისხარია, რომ ისევ ღვებნარ!“

ამ დარდით იყო იგი შემოვლილი ამ ორმოცდაათოდე წლის წინათაც. როდესაც ჭაბუკები შევხვდით ერთმანეთს, რომანტიკოსები, გულგაუტყველები. რას არ ვფიქრობდით, რაზე არ ვოცნებობდით. შეუმჩნეველად შევეთვისეთ ერთმანეთს. 1914 თუ 1915 წელს ფიქრის გონაზე ვხვდებოდით ერთმანეთს გოგლა, სიკო ფაშალიძე, მთის ნიავი და ერთი ორიოდე სხვა კიდევ. ჩამოვსდებოდით კლდეზე. გავცქეროდით ვერეს ხეობას, მტკვარს. ვხარობდით, ვიცინოდით. გოგლას მამინაც ასეთი ბუბუნა ხმა ჰქონდა. ვოცნებობდით. ამ მთისას ვიტყვოდით, იმ მთისას და დავგათენდებოდა თავზე. - ერთმა, როდისღა მოვასწრო ან ძილი ან კორექტურის გასწორება? - დაინანებდა სიკო ფაშალიძე. მე როდისღა ვუთხრა ვასილ მარნოვს, რაც დამავალა და კვლავ გაისმოდა მისი დუდუნი და ისე, თუ ყოველდღე არა, კვირაში სამჯერ მაინც ვხვდებოდით. რა გვექონდა ამდენი სალაპარაკო? ხშირად ვეკითხებოდა თავს და როგორ არ გვექონდა: რამდენი ოცნება და ამ ოცნების განხორციელებების სურვილი. უკვე დაუკავებულს, ცხოვრებით დაბრძენებულს გოგლას ვკითხე. - გოგლა, სადა შენი ჭაბუკობის ლექსი „წვიმის წვეთი“, არც ერთ შენს წიგნში არ შემხვედრია? - რა, გასოვს? - და თვალეში გაუბრწყინდა. ესამოვინა, რომ მისი ჭაბუკობის ლექსი მახსოვდა. - რა ვიცი, ვაჟკე, ალბათ, იმ მდინარეს, რომელსაც ყველაფერი მიაქვს ჩვენს დაუკითხავად. კარგი იყო, არა? - მკითხა კიდევ ეშმაკურად. - იცი, წვიმდა. არა, კი არ წვიმდა, მზე პირს იბანდა, სარკმლის მიწაზე ერთი წვეთი მზრწყინავდა. იმან დამაწერინა: უწყლად მოჰყვა და ვხედავდი, უხაროდა, რომ მოვიგონე მისი „წვიმის წვეთი“, მაგრამ ამ მოყოლაში წვიმის წვეთი კი არ ენანებოდა, არამედ ენანებოდა ის ჭაბუკობა, ის ახალგაზრდობა, ის თავისუფალი ოცნებანი, ამ წვიმის წვეთს რომ ვაჟკე.

ფიქრის გონაზე ღამის თევის დროს ხშირად გვაკვირვებდა ძველი ქართული თქმებით, დაბადებისა და სახარების ტექსტით. როცა ვკითხეთ, საიდან იცი ამდენი რამეები, გვიპასუხებდა, - იცის ვასომ, რა უნდა ვიყოდე. შემდეგ ვავიგებო, რომ ვასო ვასილ მარნოვი იყო, მისი საყვარელი მასწავლებელი, რომელიც ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა სემინარიაში. შეყვარებული იყო ძველ წიგნებზე. უყვარდა ქართულ წიგნთა პირველ მმეჭდავთა ხსენება, მათი ქება. ვახტანგ მეექვსეს უპირველეს მეფედ თვლიდა, სტამბა დააარსა, „ვეფხისტყაოსანი“ გამოსცა. ოცნებობდა თავისი ვაზეთი, უურნალი ჰქონოდა და მართლაც, 18-19 წლის ჭაბუკი იყო, როდესაც პირველი ვაზეთი გამოსცა. ცოტა რომ მოვაუკაცადა, მეორეს ნედაქტორობდა. ერთხელ რუსთაველის დასაწყისში შემხვდა და მეუბნება - რატომ არ მეშველები, ასე უნდა ძველი მეგობრობა? მაშინ პოეტები და, საერთოდ, მწერლები ასე მომრავლებული არ იყო. რედაქტორი ეძებდა მწერალს.

- იცი რა, მოდი ასეთი ფსევდონიმით მოიტანე წერილი - იმად მალაფარი. ჰა, როგორ მოგწონს?

- მაშინ არც იმად ვიყოდი, რა იყო და არც მალაფარი, მაგრამ მიხვდი, რომ რაღაც ძველი მწერლობიდან იყო მოტანილი. მართლაც, მალე დავებრუნე ამ ფსევდონიმით წერილი თუ მოთხრობა და ეს იყო ერთადერთი ნაწარმოები, რომელსაც მე ასეთი უცნაური ფსევდონიმი მივაწერე. შემდგომ, როცა შემხვდებოდა, მაშინვე იმად მალაფარი დამეწერა მთავარსახეობა - მალაფარს გაუმარჯოს. მოდი, კიდევ დაწერე და ერთი წიგნი გამოვეყვით და ახალი მალაფარიანი ვუწოდოთო, მხიარულად, თავისი როზნოხა ხმით წაიდუღუნებდა. ოცნებობდა დიდი ეპოპეა დაეწერა ქართლის ავტორების შესახებ.

- განა შენი ყველა ლექსი ამაზე არ არის? - შევეკითხე. - არა, ლექსი მაინც სხვაა, დიდი ეპოპეა კი ისეთი უნდა იყოს, რომ ასწიო და ვერ აიტანო. თუ აიტან, მკერდამდე უნდა მიიტანო და მკერდში ჩაიმარხოს. აი, ესაა ნამდვილი შემოქმედება.

დაუკავებების შემდეგ ჩვენი პროფესიის გზები გაიყო, მაგრამ ძველი მეგობრობა არ დარღვეულა. უეჭველად მოვიგონებდით ჭაბუკობის ამხანაგებს. მეც და მასაც გულს გვიკლავდა მთის ნიავის უდროოდ დაკარგვა. - ვაუკაცურად კი დაეცა მშობლის ველზე, არა? და წუხდა, რომ მასზე ჯერ არაფერი არ დაეწერა. - რა ვქნა ძნელია, დიდა ტკივილი იმისგან მოყენებული. ხანში როდესაც შევედით, ერთმანეთს ისევ ვხვდებოდით, როგორც ჭაბუკობის დროს, როგორც ფიქრის გონის ლოდზე რომ ვისხედით და ვსაუბრობდით. მოვდიოდი, ვფიქრობდი და ჩემ თვალწინ გადართბინა მთელ ნახევარ საუკუნეზე მეტმა...

(გაზრდილება იძნება)

ვაჟუსტაბო:
წინა ნომრის „ჩემი გიორგი ლეონიძის“ პუბლიკაციის P. S.-ის მესამე აბზაცში წერია, რომ ისლანდია თითქმის სულ სამი ათასი ისლანდიელიდან შედგება, რაც მცდარბეჭდილია. უნდა იყოს სამასი ათასი ისლანდიელიდან შედგება.

რატომ?.. რისტოვის?.. ვისტოვის?..

ანუ „პირ უპეწავათ ერბოკვერსს, თუ კვერსს არ გავტახთ“!

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურმა პარტიებმა პარტიული სიით პარლამენტში შემსვლელი დეპუტატობის კანდიდატები დაასახელეს. გამარჯვების ერთ-ერთმა მთავარმა პრეტენდენტმა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ თავდაპირველად 20 კანდიდატი წარმოადგინა. მათ შორის პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატები.

„ქართული ოცნების“ გადამწყვეტილებების თანახმად, რომ პარლამენტში ყოველი მეოთხე დეპუტატი ქალი უნდა იყოს, - შესაბამისი რაოდენობის დილენტი, საქმეში გამოუცდელი, სერვილისტი - მორჩილი ქალებია სიაში შეყვანილი, რომლებიც ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ მდგომარეობას ვერ გამოაკეთებენ და ოპოზიციური პარტიების სახელის გატეხით იქნებიან დაკავებულები. „ქართულ ოცნებას“

ოთარ უონია

თრ. 1.მეც2 2.ღმწ 3.კვწ
მე.1.მეე4

ამხსნა
1.ღმწ-ღმ მეე4-ე3 3.ღმძ3x
2.ღმწ-d1 მეე3-e4 თუ 1...მეე4-d4

მაშინ
2.ღმწ-ღმ მეე4-e4(ან...მეე3)
3.ღმძ3x

ამ საჭადრაკო კომპოზიციით ოთარ უონია მკითხველს მიანიშნებს, „სამ სვლაში შამათი ვის მოუტანს ბამარჯვებას“...

ქალის უნარიანობაში ეჭვი შეაქვს. ყველა ქალისთვის, ვინც თავს გამოიჩენს, პოლიტიკის კარი ღიაა! იყოს უკეთესი კადრი, მაგრამ ის, რომ ქალი არ არის, ამიტომ პარლამენტში არ შეიყვანო - მავნებლობაა.

„მსგავსი ყოველი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“. ამიტომ ჩვენ გვიწინაა, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ პროფესიონალი, პრაქტიკოსი, გამოცდილი, ალღიანი, ზნეშეცვლილი პოლიტიკოსები და არა ახალი სახეები! - რატომ? იმიტომ, რომ იქნებიან მთოხნელები და მთოხლავეები! რისტოვის?..

- იმისთვის, რომ კარგი საქმეები აკეთონ! ვისტოვის? - ქვეყნისთვის და ხალხისთვის!

ქვეყანაში არსებული ვითარების და მძიმე სოციალური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ ერთპარტიული მმართველობისგან თავის დაღწევით, რაც ეგზორციზმით - შელოცვით ვერ მოგვარდება. „ვერ შევწვავთ ერბოკვერსს, თუ კვერცხს არ გავტეხთ“!

გაერთიანებულ ოპოზიციაში კი გაუგებრობა იყო, - ვერ შეთანხმდნენ საარჩევნო ოქტებში მაჟორიტა-

რი დეპუტატობისთვის წარსადგენ კანდიდატებზე და გაიბუტნენ, თუმცა მრწამსისთვის არ უღალატიათ, ძველი გზიდან არ გადაუხვევიან, „გაიყარნენ ნაცარანი, რა გაიყონ, რაც არ არის!“ „ნუ დააგდებ ძველსა გზას, ნურცა ძველსა მეგობარსაო“.

წინასაარჩევნო დროს ამომრჩეველთა ხმების მოზიდვის და მოპოვებისთვის ზოგიერთი პარტიის ზოგი ლიდერი დაკავებულია გალიმითი: - წინა ხელისუფლების, ნატოს და მეზობელი ქვეყნის, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის თურქეთის დისკრედიტაციით და ინსინუაციით - ცილისწამებით. აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის ხელისუფლებებთან დიალოგის საშუალებით და მოლაპარაკებებით აპირებს საქართველოს მიწა-წყლის გამოთლიანებას.

...არჩევნებში წარმატების მისაღწევად არ ერიდებიან არც ერთი პარტიის სახელის გატეხას, მათ მიმართ არ იშურებენ ძვირ და მკვახე სიტყვებს. განსაკუთრებით, აკვირებული ჰყავთ ცალკე „ნაციონალური მოძრაობა“ და ცალკე - „ქართული ოცნება“, ახმოვანებენ მხოლოდ ცულ საქმეებს. კარგზე, რაც ბევრი იყო, ხმას არ იღებენ.

ნატოში გასანგვერებლად არც ერთი ხელისუფლება ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა საქართველო რაც შეიძლება მალე გამხდარიყო ნატოს წევრი, მაგრამ ნაკლოვანი დებულების გამო მიზანს ვერ აღწევს. ნატოს ზოგ წევრს მანქანის პედლები „ეშლებათ“ და სიჩქარის პედლის ნაცვლად, სამუხრუჭე პედალს აჭერს ფეხს. როგორც ეს ბუქარესტის ნატოს სამიტზე მოხდა საქართველოსთვის მამის მინიჭებისას. დროა, დებულებაში ჩანერგილი დიქტატურის ელემენტი - „ვეტო“ ამოიძირკვოს და ისტორიის კუთვნილება იქცეს. ძახილი! - საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი! - არაფრის მაქნისია! - ითქვას - როდის გახდება! რეფერენდუმის თანახმად, ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის სურვილი და ნება რევიზიას არ საჭიროებს!

...საქართველოს მიწა-წყლის გამოთლიანება - რუსეთთან, აფხაზეთთან, ოსეთთან დიალოგის და მოლაპარაკების გზით - და ამ მიზნით მოსკოვსა და სოხუმში ვიზიტები, - დროის დაკარგვა, წყლის ნაყვანა, - უშედეგო, უნაყოფოა, ლტოლვილების მტკივნეულ ადგილზე ფეხის დაჭერა და სხვა არაფერი, თუ არა მათი საარჩევნო ხმებზე ნადირობა. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს პირნაყარდნილი შოვინისტი სუსლოვი თესავდა შულს ქართველებსა და აფხაზებს შორის. ხელს უწყობდა ასიმილაციას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა ნამოინყო ომი და ანექსია უყო აფხაზეთს - საქართველოს მიწა-წყლის ამ ნაწილს და „აისრულა“ საუკუნოვანი ოცნება.

დაკარგული მიწა-წყლის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ მეგობარი ქვეყნების და ევროსტრუქტურების რუსეთისადმი კატეგორიული მოთხოვნებით და მკაცრი სანქციების დაწესებით. თუ ამ მეთოდმა არ გაჭრა, მაშინ მუშტი უნდა ვუწვენოთ! - ჩვენი კი არა, - მსოფლიოს მუშტი სხვანაირად ყვავს კაკალს ვერ გააგდებინებ!

...„მეზობელი თუ კარგად გყავს, შენც კარგად ხარო“, „მეზობელს ხარი უქადე, ღმერთი შენ მოხვერს მოგცემსო“!

ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად რა საჭიროა თურქეთთან ურთიერთობის დაძაბვა და შულის ჩამოგდება. ღველვად ქვეყნი ავადასახსენებელი ამბების გახსენება და ცნობიერებაში აღდგენა, რაც საქართველოსა და თურქეთს შორის ხდებოდა, მთელ მსოფლიოშიც ხდებოდა! შიგა ომებიც იყო ქვეყნებში, დრო და ვითარება იყო ისეთი!

ვის საამებლად კეთდება ყველაფერი ეს? რატომ? რისტოვის? ვისტოვის?!

ოთარ უონია,
არქიმპროტი,
571390592





ორ-მხრივი ყარაბაღში

აშშ-ის, რუსეთის და საფრანგეთის პრეზიდენტებმა ტრამპმა, პუტინმა და მაკრონმა ერთობლივად განაცხადეს, რომ გამოზენ აზერბაიჯან-სომხეთის მორიგ სამხედრო კონფლიქტს მთიან ყარაბაღში და, მოუწოდებენ მხარეებს, შეწყვიტონ სამხედრო დაპირისპირება და მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მეთაურებმაც შეშფოთება გამოხატეს სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტთან დაკავშირებით, თუმცა რაიმე ქმედითი განცხადებებისგან თავი შეიკავეს, მიუხედავად საფრანგეთის პრეზიდენტის მაკრონის მოხსენებისა, რომელმაც დაადასტურა საკონტაქტო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ქვეყანა თურქეთი აზერბაიჯანის მიმართ ვერბალური და სამხედრო მხარდაჭერისთვის.

მაკრონმა სატელეფონო საუბარი გამართა, როგორც თანათავმჯდომარეებთან, ისე თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანთან, თუმცა ამ უკანასკნელთან ლაპარაკს პოზიტიური შედეგი არ მოჰყოლია, რაც დაბრუნდა თურქეთის ხელმძღვანელთა მკაცრი განცხადებებით და არა მარტო.

ბრეზნევის საბჭოთა დღის წესრიგის მიხედვით, მთავარი განსახილველი თემა ბელარუსის არჩევნები უნდა ყოფილიყო და ბელარუსის ხელმძღვანელობისთვის სანქციების დანერგვა – როგორც არჩევნების გაყალბების, ისე მშვიდობიანი დემონსტრაციების მიმართ გადამტეხული ძალის გამოყენებისთვის.

მიუხედავად კვიპროსის წინააღმდეგობისა, რომელმაც ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეკრებისას ბელარუსის „დასჯას“ მხარი არ დაუჭირა და საკითხი ჩააგდო, ქვეყნების მეთაურების სამიტის დროს ვერ გაუძლო ევროკავშირის წევრი ქვეყნების მეთაურების წნეხს და უკან დაიხია, თუმცა ის მაინც მოახერხა, რომ სამიტს გაეფრთხილებინა თურქეთი ხმელთაშუა ზღვის სამხრეთში მიმდინარე გეოლოგიური კვლევის შეჩერებისთვის სასწრაფო ზომების შესახებ.

კვიპროსმა ბელარუსის თემა საკითხად აქცია – თუ არ დაუნესებთ სანქციებს თურქეთს, მხარს არ დაუჭირებთ ბელარუსის სანქციებს. მართალია, მან ისე ვერ ივაჭრა, როგორც სურდა, მაგრამ უსანქციოების ნაცვლად, მკაცრი გაფრთხილება მაინც გამოტყუა ევროკავშირულ კოლეგებს.

დღეს, ევროკავშირის გერმანიის თავმჯდომარეობის, რომლის კანცლერს ანგელა მერკელს ერთობ რთული დამოკიდებულება აქვს თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანთან. ამ ურთიერთობებთან დაკავშირებით ისეთი, რომელიც სცდება ორი ქვეყნის ურთიერთობებს და ევროკავშირის საზღვრებში განსაკუთრებული სიმწვავეით ხასიათდება. მაგალითად, პეკინის დაპირების შეუსრულებლობა თურქეთის ამ ორგანიზაციაში განეგრძობს მთავარი თემა.

ძნელია, აიტანო თითქმის ნახევარსაუკუნოვანი დაპირების შეუსრულებლობა, როდესაც სხვა ქვეყნები უკვე რახანია, გაერთიანდნენ ამ ორგანიზაციაში. მხედველობაში მყვანან ბალტიისპირა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, ბრიუსელის მიერ მიცემული საშინაო დავალებების მუყაითად შემსრულებელი, ერთ ადგილზე დგას. დაასრულებს დავალებას და ბრიუსელი ახალ დავალებას აძლევს, რაც სარკასტულ ვითარებას ქმნის. ასე მიიჩნევენ თურქეთი.

განეგრების პერმანენტული გადავადების საკითხს ახალიც დაემატა – სირიელი დევნილების შეკავება. სირიაში წამოწყებული ომმა ათეულ ათასობით სირიელი მოწყვლადი საკუთარ სახლ-კარს და იძულებით გადაადგილებულ პირად აქცია. მათი დიდი ნაწილი მეზობელი თურქეთის ტერიტორიაზე, კარვის ქალაქებში ცხოვრობენ და ერთი სული აქვთ, ევროპაში გაიქცნენ!..

სამი მილიონი ადამიანი თავმოყრილი ეწ. კარვების ქალაქში, რომელთა კვება, საყოფაცხოვრებო საკითხები და სხვა მრავალი თურქეთზე დამოკიდებული. ევროკავშირმა, თურქეთის დაფინანსებული თხოვნის შემდეგ, 6 მილიარდი ევრო გამოუყო მას ლტოლვილების შესახებ, თუმცა ოფიციალური ანკარის მიხედვით, ეს თანხა არასაკმარისია.

ლტოლვილების თემას შორიდ ახმაურებს თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი, როცა ის უკმაყოფილოა ევროკავშირის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილებით. ამ „მუქარას“ ლამის ულტიმატუმის სახე აქვს – არ იზამთ ამას, კარს გაეუხსნის სირიელი ლტოლვილებს ევროკავშირის კენ, რაც ევროპელთა საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს.

ევროკავშირმა, განსაკუთრებით გერმანიამ, ჯერაც ვერ გადალახა ის პრობლემები, რომლებიც აზიელი და აფრიკელი ლტოლვილების შემოსევამ არგუნა მას. მიგრანტთა მიმართ კანცლერ მერკელის უკომპრომიზო კიდებულებამ მის პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ავნო და ქვეყანასაც. გერ-

კავკასია უიფილისგან გასოფილი გლეხის ხსახუი...

მანამ, რომელმაც გასული საუკუნის ეკონომიკური აღმავლობის დასაწყისში, ფართოდ გაუღო კარი თურქ მუშებს, ათეული წლის განმავლობაში ვერ მოახერხა მათი ასიმილირება.

პროცესი რთული გამოდგა. თურქები – გერმანიის ქალაქებში კომპაქტურად მცხოვრებნი, ინარჩუნებენ თავიანთ ყოფას, ცხოვრების წესს, ენას, აღმსარებლობას. მათი სამშობლო თურქეთია, ხოლო პრეზიდენტი – ერდოღანი, არადა, ისინი გერმანიის მოქალაქეები არიან.

თურქული დიასპორა 5-6 მილიონს აჭარბებს, იმაზე მეტს, ვიდრე ევროკავშირის წევრი ლიტუვის, ლატვიის და ესტონეთის ერთად აღებული მოსახლეობა. გერმანიის ქალაქებში თურქული სასაბჭოების, საშურმეების და მჭერების რაოდენობას ვინ მოთვლის, ბერლინი ლამის თურქულ ქალაქად იქცა!!!

ცხადია, ასეთ ვითარებაში ახალი მიგრანტები, მათი თავაშვებული ქვეყნებთან ერთად განწყობის გერმანელებს საკუთარი ხელისუფლების მიმართ. სწორედ ამით არის გამოწვეული ევროკავშირის ლოკომოტივის, გერმანიის რევერანსული დამოკიდებულება ერდოღანის მიმართ, რაც დიამეტრულურად განსხვავდება საფრანგეთის დამოკიდებულებისაგან.

ეს ქვეყანა არასდროს მალავდა თავის უარყოფით განწყობას თურქეთის მიმართ. საერთაშორისო საზოგადოებას კარგად ახსოვს ყოფილი პრეზიდენტის სარკოზის ნათქვამი, რომ თურქეთი ვერ ეღიარებდა ევროკავშირის წევრობას. ერდოღანს არც დღევანდელი პრეზიდენტი მაკრონი უკმევს გუნდრუკს.

საფრანგეთმა კატეგორიულად დაგმო ერდოღანის მიერ ლიბიაში თურქეთის ჯარის გადასხმა და თავისი სამხედრო გემები სასწრაფოდ მიაცურა ლიბიის სანაპიროსკენ!

საფრანგეთმა დაგმო თურქეთის მიერ გეოლოგიურ-სამძებრო სამუშაოების წარმოება კვიპროსის სიახლოვეს. მან მხარი დაუჭირა საბერძნეთს, რომელიც თვლის, რომ ის საზღვაო სივრცე, სადაც თურქეთი სამძებრო სამუშაოებს ატარებს, მისია. პარიზმა აქაც თავისი სამხედრო ნომალდები გაგზავნა.

საფრანგეთმა დაგმო თურქეთის პოზიცია ყარაბაღთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ თურქი სამხედროები ეხმარებიან აზერბაიჯანის არმიას! გარდა ამისა, მაკრონმა განაცხადა, რომ თურქეთმა საომარ ზონაში გადაიყვანა სირიაში მყოფი ტერორისტები.

სამხედრო დაპირისპირება, მით უმეტეს ომი, რასაც ყარაბაღში აქვს ადგილი, მაგნიტივით იზიდავს სისხლის მოყვარულ „ბოვეკებს“. ყარაბაღი კი ისეთი მაგნიტია, თუნდაც ქრისტიანთა და მუსლიმანთა დაპირისპირების თვალსაზრისით, ამას ხელიდან არავინ გაუშვებს.

მერკელის მოკრძალებულ დამოკიდებულებას და მაკრონის სიმკაცრეს ერდოღანი შესაბამისად აფასებს, უფრო სწორად, ჯიუტად და შეუდრეკლად. ის, არც მერკელს და არც მაკრონს მისთვის საშიშ პოლიტიკოსად არ აღიქვამს. მან კარგად იცის, რომ მისთვის პრობლემების შემქმნელი არც ერთი არ არის, ვინაიდან ორივეს ლტოლვილების შესვლით ემუქრება. აი, რაც შეეხება ამერიკას, მართალია, მასაც არ ეშუება ერდოღანი, მაგრამ გარკვეულ ნიშნულამდე. მან იცის, რომ ამ ნიშნულის გადალახვას ვაშინგტონი არ აპატიებს.

„გამორჩეული“ ურთიერთობა აქვს ერდოღანს რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან. თურქეთ-რუსეთის დამოკიდებულებას უფრო ცვალებადი შეიძლება ვუწოდოთ, ვიდრე მყარი – მარტის ამინდით, ხან – დარი და ხან – ადარი. რუსეთი თურქეთს აწვდის გაზს, უშენებს ატომურ ელექტროსადგურს, მილიონობით ტურისტს უგზავნის ყოველწლიურად, უსაღებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, აიარაღებს ანტიარაკეტო სისტემას C-400-ით, რომელიც დიდ უკმაყოფილებას იწვევს ვაშინგტონსა და ბრიუსელში..

მიუხედავად ამისა, თურქეთი არ ცნობს ყირიმს რუსეთის შემადგენლობაში; მხარს უჭერს უკრაინას დონბასთან დაკავშირებით, მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას! ეკამათება რუსეთის სირიის და ლიბიის საკითხებში; ეწინააღმდეგება სირიის ლეგიტიმურ ხელისუფლებას, განსაკუთრებით მის პრეზიდენტს ბაშარ ასადს. ერდოღანი აქტიურ დახმარებას უწევდა სირიელი ტერორისტების ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ ომში და ა.შ.

მართალია, დღეს თურქი და რუსი სამხედროები ერთობლივად პატრულირებენ ტერორისტების მიერ დაკავებულ ზონებში, მაგრამ დიდი „სიამტკილობა“ ერთმანეთის მიმართ მაინც არა აქვთ. პრეზიდენტმა ერდოღანმა, რომელმაც შეცდომა დაუშვა რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდება, ათას ხერხს მიმართა პრეზიდენტ პუტინთან შესარიგებლად და რომ არა დსთ-ს, სხვა ქვეყნების ლიდერების ძალისხმევა, პუტინის უარყოფითი განწყობა არ შეიცვლებოდა.

ზემოთ ვახსენე ერდოღანის დამოკიდებულება ყირიმისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. ერდოღანი პანთურქიზმის, ოსმანიზმის მოტრფივალ პოლიტიკოსია და მას ყირიმში და საქართველოც თურქეთის საზღვრებში უფრო ხიბლავს.

ამასთან დაკავშირებით რახანია, ფართო ისტორიული კამათი მიმდინარეობს ამ ცბიერ ქვეყანაში. თურქეთი არა მარტო აჭარბებს თვლის თავისად, თურქეთის ნეოსომანიზმი მთელ კავკასიაზე ვრცელდება, როგორც – სამხრეთზე, ისე – ჩრდილოეთზე.

ერთ დროს ერდოღანის სულიერი მასწავლებელი ფეოქალა გიულენი, ამჯერად მტერი, თავის ნაშრომებში ხაზგასმით მიუთითებდა თურქეთის გაულებლის ზონაში მთელი კავკასიის მოქცევის თაობაზე. ის წერს, რომ ასეთი მიდგომა ისტორიული სამართლიანობის აღდგენაა. გიულენის მიხედვით, თანამედროვე ვითარებაში სულაც არ არის საჭირო თოფი, საკმარისია პატარა ხალხი, მისი ოკულა და ლოცვა..

გიულენს არ ჩამოუვარდება ყოფილი პრემიერ-მინისტრი დავეუთოლუ, რომელმაც არაერთი წიგნი დანერგა ოსმანიზმის ალორძინების თაობაზე. ისიც, როგორც გიულენი, საქართველოს, ისე, როგორც კავკასიას, თურქეთის შემადგენლობაში ხედავს.

ზამოთ ვახსენე სამი სახელმწიფოს მეთაურის განცხადება ყარაბაღთან დაკავშირებით. განცხადების უპირველესი ადრესატები არიან სომხეთი და აზერბაიჯანი. მათ უნდა გაეკეთებინათ საპასუხო განცხადება და არა თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანს, რომელმაც წამიც არ დააყოვნა და მოურიდებლად უპასუხა: 30 წელიწადია, არაფერი გაგიკეთებიათ ამ საკითხის მოსაგვარებლად, ახლა კი ხელს გვიშლით ყარაბაღის სომხის ოკუპანტებისგან თავისუფლებაში!..

ოსმანიზმის ალორძინების მოტრფივალ ერდოღანი, რომელიც თურქეთ-აზერბაიჯანს ერთ ხალხად ორ ქვეყნად აღიქვამს, მომავალში ცენტრალური აზიის ქვეყნების მიმართაც იტყვის – ერთი ხალხი, სამი, ოთხი, სუთი ქვეყანა..


ომი კი გრძელდება – ნგრევით და მსხვერპლით. საკმარისია პატარა შეცდომა – ყარაბაღის ნაცვლად საომარი მოქმედების სომხეთში გადატანა, რომ ორმხრივი დაპირისპირება რეგიონულში გადაიზრდება, შესაძლოა გლობალურიც!..

დღეს უკვე მნიშვნელოა აღარ აქვს – ვინ გაისროლა პირველად, დღეს მნიშვნელობა აქვს – ვინ გამოთქვამს ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკების დაწყების სურვილს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ასეთი არ ჩანს.

კავშირები
ჭიკაშვილი
პოლიტიკოსი



ქართული მეცნიერის კიდევ ერთი დიდი აღიარება



ობის და მეტყვევების აკადემია), ჩეხეთი – აკად. ვილემ პოდრაზი (ჩეხეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია), ლატვია – აკად. ბაიბა რიგვა (ლატვიის სოფლის მეურნეობის და მეტყვევების მეცნიერებათა აკადემია), შვედეთი – აკად. კერსტინ ნიბლიაუსი (შვედეთის სოფლის მეურნეობის და მეტყვევების აკადემია), უკრაინა – აკად. იაროსლავ გაძალო (უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა ეროვნული აკადემია), ინგლისი – პროფ. ენდრიუ ლაზენბაი (ინგლისის სამეფო სოფლის მეურნეობის საზოგადოება). ასევე ესწრებოდნენ საბჭოს მთავალი ორი წევრი ქვეყანა:

იტალია – პროფ. სიმონე ორლანდინი (გეორგოფიის აკადემია) და სლოვაკეთი – აკად. სტეფან მიჰინა (სლოვაკეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია). დღის წესრიგში იდგა ევროპის აკადემიების კავშირის ვიცე-პრეზიდენტის და პრეზიდენტის არჩევა. პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს ევროპის სოფლის მეურნეობის სურსათისა და ბუნებათმცოდნეობის აკადემიების კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ბურბანა ალექსიძე, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად – სლოვაკეთის სოფლის

მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი სტივან მიჰინა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ ალექსიძის სახელი კარგადაა ცნობილი როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ. მას გამოქვეყნებული აქვს 230-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 12 ნიგნი, 5 მონოგრაფია და 10-ზე მეტი ბროშურა, რომელთაგან 80-ზე მეტი საერთაშორისო მაღალრეიტინგულ გამოცემებშია დასაბუთებული დაბეჭდილი. აკად. გურამ ალექსიძის

შრომები ძირითადად ეხება სასოფლო – სამეურნეო კულტურების (ვაზის, ხეხილის, ციტრუსების და სხვა) მანეჯმენტი და ვადებებისაგან ინტეგრირებული დაცვის საკითხებს. ის ამ მართულელების ერთ-ერთი ფუძემდებელია საქართველოში. მისი ხელმძღვანელობით დღესაც მიმდინარეობს კვლევები მათემატიკური მოდელირების სისტემების გამოყენებით აგროცენოზებში გავრცელებულ მავნე და სასარგებლო მწერებს (ტკიპებს) შორის ურთიერთდამოკიდებულების დასადგენად. ამ მართულელებით მცენარეთა დაცვაში ის ერთ-ერთი პირველთაგანია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიოშიც. აკადემიკოსი გ. ალექსიძე წლების მანძილზე აქტიურ და ნაყოფიერ თანამშრომლობას ეწევა ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან როგორებიცაა: CACAARI (ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციის თავმჯდომარე), CGIAR, GFAR, ICARDA, CIMMYT, Bioversity International. მისი მონაწილეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პროფ. ალექსიძის ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მისი ხელმძღვანელობით დატულია 20-მდე სადოქტორო დისერტაცია, მათ შორის არიან უცხოელი სპეციალისტებიც. **გამოჩნეულ ქართველ მეცნიერს სამართავლოს აპარატის-კონს-მეცნიერთა სახელით ვულოცავთ ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო აღიარებას!**

მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს გაიმართა ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათმცოდნეობის აკადემიების კავშირის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია აღნიშნული კავშირის წევრია 2015 წლიდან). შეხვედრას ესწრებოდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ქვეყნები: საქართველო – აკად. გურამ ალექსიძე (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია), საფრანგეთი – აკად. მიშელ ტიბიერი (საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია), ლიეტუვა – აკად. ზენონას დაბეკვიჩი (ლიეტუვას მეცნიერებათა აკადემია), რუმინეთი – აკად. იოან იელევი (რუმინეთის სოფლის მეურნე-



პარდილოვობა გასაჭირი

შარო, მხოლოდ ანზორ მედიცინას განუძღვინა?

„კომერსანტისთვის“ ექსკლუზიურად გახდა ცნობილი ჯანდაცვის სამინისტროს ახალი ბრძანება, რომელიც არაოფიციალურია და მასზე ღიად არავინ საუბრობს. საქმე ეხება სავარაუდო კორუფციულ სქემას, რომლის მიხედვითაც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებს პაციენტები მხოლოდ რამდენიმე, ბაზრის მონოპოლისტ კლინიკაში გადააყვავთ. სანდო წყარო, #12- დან გვიყვება, რომ პაციენტი სპეციალიზებულ კლინიკებში არ უნდა გადაიყვანონ, რადგან მათ აქვთ იმ დანებსეზულების სია, სადაც გადაუდებელი პაციენტების ჰოსპიტალიზაცია უნდა მოხდეს.

„კომერსანტის“ ექსკლუზიური ინფორმაცია სავარაუდო კორუფციული სქემის შესახებ, ჰოსპიტალურ სექტორშიც დადასტურეს. კლინიკების უმეტესობაში აცხადებენ, რომ ჯანდაცვის სამინისტროს არაოფიციალური დავალებით პატარა, მონოპროფილური კლინიკების ჩაძირვაა გადაწყვეტილი. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ თემაზე ჰოსპიტალური სექტორის წარმომადგენლები ღიად საუბარს ერიდებიან. პრობლემაზე ღიად საუბრობს და ჯანდაცვის სამინისტროს უპირისპირდება „კლინიკა გულის“ დამფუძნებელი, ცნობილი კარდიოლოგი ანზორ მელია. იგი აცხადებს, რომ ტიკარაძის უწყებას აქვს კლინიკების შავი სია, სადაც სავარაუდო სიტუაციების მართვის სამსახურმა პაციენტები არ უნდა გადაიყვანოს. ამ შავ სიაშია „კლინიკა გუ-

მიზანმიმართული კორუფცია თუ მხირა კლინიკების ჩაძირვის სქემა? არს - ერთი და არს - მეორე!!

ლიც“. კარდიოლოგი აცხადებს, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური პაციენტებს არაპროპორციულად ანაწილებს და პაციენტები მხოლოდ იმ მრავალპროფილურ კლინიკებში მიჰყავთ, რომელთაც ბაზარი მონოპოლიზებული აქვთ. ექიმის განმარტებით, ჯანდაცვის სამინისტრო მონოპროფილური კლინიკებს ანადგურებს, რის შედეგადაც უახლოეს მომავალში საავადმყოფოები დახურვის საფრთხის წინაშე დადგებიან.

„კლინიკაში პაციენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში შემოიყვავთ, თუ მან სასწრაფოს ექიმებს უთხრა, რომ მისი მჭურანლი ექიმი მე ვარ და სხვა კლინიკაში გადაყვანაზე უარს აცხადებს. ამ მდგომარეობაში ვართ მას შემდეგ, რაც არჩილ თალაკვაძის ძმა ავთანდილ თალაკვაძე საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა. პაციენტები მხოლოდ მრავალპროფილურ კლინიკებში მიჰყავთ. თალაკვაძემდე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორი მაკა გვარამია იყო, მან ამ რთულ სიტუაციას თავი ბრწყინვალედ გაართვა. მისი მმართველობის პერიოდში პაციენტები ტერიტორიული პრინციპით და რიგითობით ნაწილდებოდა, რა დროსაც ყველა კმაყოფილი ვიყავით.

მონოპროფილურ კლინიკებს გვანად-

გურებენ, გვსპობენ კლინიკებს, რომლებმაც ჩვენი შრომით წარმატებას და ავტორიტეტს მივალწიეთ. თუ ასე გაგრძელდა მონოპროფილური კლინიკები განადგურდება. პრობლემა იმ შემთხვევაში მოგვარდება, თუ კოალიციური მთავრობა შეიქმნება, მთავრობა, რომელიც იზრუნებს სახელმწიფოზე და არა ერთსა და იმავე კლინიკებზე. ამ კლინიკებს ხელისუფლების გავლენიანი მაღალჩინოსნები უმაგრებენ ზურგს. მე თავს უპატრონოდ ვთვლი, რადგან ჩემს ზურგს უკან არავინაა. ვისაც პატრონი ჰყავს, თავს კარგად გრძობს. ეს არის მიზანმიმართული კორუფცია და მცირე, სახელოვანი კლინიკების ჩაძირვა“, – განაცხადა ანზორ მელიამ.

ჰოსპიტალურ სექტორში არსებულ პრობლემაზე ასევე ღიად ლაპარაკობს „თბილისის გულის ცენტრის“ გენერალური დირექტორი არჩილ ჩუხრუკიძე. ინტერვენციული კარდიოლოგი „კომერსანტთან“ იმ სავარაუდო სქემაზე საუბრობს, რომლის მიხედვითაც მონოპროფილურ კლინიკებში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს პაციენტები არ მიჰყავს. მედიცინის დოქტორი აცხადებს, რომ პაციენტები კლინიკებში პროპორციულად არ ნაწილდება.

„გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ #12-ის სამსახურს ბრძანება მიეცა, სპეციალიზებულ კლინიკებში პაციენტები არ გა-

დაიყვანონ. გადაწყვეტილება ოფიციალურად არ არის დადასტურებული, თუმცა შიგნიდან #12-ის სამსახურის მენეჯერებისგან გავიგეთ, რომ ჯანდაცვის სამინისტროსგან არის დირექტივა ჩვენთან, „კლინიკა გულში“, თბილისის მედიცინის ინსტიტუტში და ა.შ. პაციენტები არ გადაიყვანონ. პაციენტი ჩვენთან მხოლოდ პირადი მოთხოვნის შემთხვევაში მოჰყავთ. #12-ს ადამიანები ძირითადად მრავალპროფილურ კლინიკებში გადააყვავთ რა დროსაც, ხშირად პაციენტებს არაკორექტულად ექცევიან, ეუბნებიან რომ მათთვის მისაღები კლინიკა არ მიიღებს, ბევრ მიზეზს ამბობენ, რათა სპეციალიზებულ კლინიკებში არ გადაიყვანონ. თუ ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, ეს არის უფლებამოსილების გადაღმეობა, ჩვენთვის საქმიანობაში ხელის შეშლა და პაციენტების უფლებების დარღვევა. ჩვენი მრავლობითი მცდელობა, შევხვედეთ ავთანდილ თალაკვაძეს, უშედეგოდ დასრულდა. კარგი იქნება თუ ის ამ კითხვებს უპასუხებს. წარმოიდგინეთ, ჩვენ რომ რეიტინგი არ გვქოედს და #12 გვიბლოკავდეს პაციენტების მოყვანას, საქმე დასურვამდე მივიდოდა“, – განაცხადა არჩილ ჩუხრუკიძემ.

ჩაფიძის კლინიკის გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ივა ხოჭოლაძე აცხადებს, რომ პაციენტი კლინიკაში უმეტესად იმ შემთხვევაში შეჰყავთ, თუ ადამიანმა თვითონ მოითხოვა ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში გადაყვანა.

ამავე კლინიკის ინტერვენციული მედიცინისა და დიაგნოსტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ალადაშვილი იმ მიზეზებს განმარტავს, თუ რატომ იკლო



დავალი ღოჯა — დიას, ეს ორგანი სტანდარტია!

ასე, ისე, მაგრამ მაინც არაო. ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენამ“ ერთ-ერთი ლიგის ნახევარფინალურ პლეი-ოფს საქართველოსა და ბელარუსის ეროვნულ ნაკრებთა შორის გუშინ უმაყურებლოდ უმასპინძლა (მსაჯი — თურქი ჯუზეპე ჩეკერი, ვის კარიერასაც მუნდიალის ნახევარფინალები, აგრეთვე ჩემპიონთა ლიგის დაუვინყარი ფინალი ამშვენებს: „ბარსელონა“ — „იუვენტუსი“).

ასე რომ, რამდენიმე დღის წინათ უფაიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გადმოტყორცნილი საიმედო უსტარი — თავად თქვენ თვითონ, კოვიდითარებიდან გამომდინარე, თქვენი ქვეყნის მთავრობისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სათათბირო ორგანოს, ანუ საკოორდინაციო საბჭოს შეჯერებული პოზიციის შესაბამისად, განსაზღვრეთ ტრიბუნებზე დასაშვებ გულშემატივართა სავარაუდო რაოდენობა —



200-დან 20 ათასამდე — ბლევია აღმოჩნდა (და ეს მაშინ, როცა პარტიული ლონისძიებები და მიტინგები სრული ანშლაგით მიმდინარეობს).

ისე, თუ ძალიან მიაშიტი არ ვიყავით, მაშინვე უნდა მივმხვდარიყავით, რომ აღნიშნული მესიჯის ავტორები არც

მწვადს წვავდნენ და არც შამფურს, გნებავთ — კიდევ ჭრიდნენ და კიდევ კერავდნენ, რადგან ზუსტად მაშინ, როცა ჩვენში ინფექცია გამქინვარდა და კორონავირუსის პანდემიის მეორე ტალღამ იფეთქა — ყოველ შემთხვევაში, ბოლოდროინდელი საგრძობლად გაზრდილი ყოველდღიური მონაცემები სწორედ ეპიდემიის გააქტიურებას მოწმობს — ვერდიქტი თვითონ კი არ გამოიტანეს, არამედ მისი გახმოვანება წინასაარჩევნო ციებ-ცხელებაში ჩაბმულ ოფიციალურ ბოდიში გამოთქმისთვის და — შეტენეს.

თუ მარტივად ვიტყვით, ეს გველაძეობა და ვირეშმაკობაა.

მართლაც, სულ ახლახან არ იყო, ბუდაპეშტში ევროპის სუპერთასის მატჩზე „ბაიერნსა“ და „სევილიას“ შორის 20000 ქომაგი რომ შეიკრიბა?

ვითომ, კონტინენტის შუაგულში უკეთესად უმკლავდებიან გამონკვევას თუ შედარებით მეტი წარმატებით იცავენ ეპიდემიოლოგთა და ინფექციონისტთა საპრევენციო მითითებებს! არამც და არამც — გადახედეთ სტატისტიკას და თავად დარწმუნდით, რატომღაც საფუძვლიანი ჩვენი პროტესტი, მით უმეტეს, თუ რეკომენდაციებისა და დისტანცინის გათვალისწინების გარანტიას მიცემდით.

დიას, თუ არა უფასო მალაჩინოსანთა ორმაგი სტანდარტებისადმი ერთგულება და ქართული ფეხბურთის, კონკრეტულად და, ქართული სახელმწიფოს, ზოგადად, დაბალ დონეზე მიჩნევა, რამდენიმე ათასი მაყურებლისთვის მაინც უნდა ანთოთ მწვანე შუქი დიდუბისკენ. ალბათ, ასე ბევრი ფიქრობს.

სრ — სპორტის რედაქცია

ნაღლი კაცი

კალათბურთისთვის დახადახული

იწმ დრო, როცა იმ დღის გათენება მიხაროდა, ლევან მოსეშვილთან დაკავშირებით ინტერვიუ, რეპორტაჟი, ჩანახატი ან ნარკვევი რომ უნდა გამოემქვეყნებინა.

შემოთავაზებული წერილი ამჯერად სულ სხვა განწყობით მომზადდა და იბეჭდებოდა, რადგან განსაკუთრებული პიროვნული ღირსებებითა და პროფესიონალიზმით დაჯილდოებულ საკალათბურთო მოღვაწეზე წარსულში გვინევს საუბარი.

არანაკლებ სამწუხაროა, რომ 80 წლის იუბილემდე წლებს, 5 მარტს გარდაცვლილი დიდი მასტეროს თვეები დააკლდა, თანაც საქმეში კორონავირუსის ვერაგი პანდემია ჩაერია და ღირსშესანიშნავ თარიღზე დღეს ვასველებ სიტყვას. თუმცა, ხომ იცით: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

— შენ ზაზა გობი და მახსოვხარ, როცა ჯერ კიდევ სკოლის მონაწილე მოდიოდი ამირან სხიერელთან დიდი ბაზაზე და ის სპორტის სასახლეში სავაჭრო ჩემპიონატის მატჩებზე დასასწრები მოსწავლის ბილეთ-



ბით გამარაგებდაო — მითხრა ერთხელ ბატონმა ლევანმა.

მართლაც, არცთუ იშვიათად, დილის შეხვედრებზე სკოლიდან გაპარვა მსხვერპლს მოითხოვდა და მეც „შატალოს“ გავუშინაურდი. სამაგიეროდ, სახელოვან თანამემამულესთან თითქმის ნახევარსაუკუნოვანი კოლეგიალური, უფროს-უმცროსობის დისტანციის ზღვარს გადაუბიჯებელი ურთიერთობისას ხანდახან ისეთ დეტალებს ჩავანოვებდი ხოლმე ამ დახვეწილ, რაფინირებულ ინტელიგენტს, რომ, მისი გაბრწყინებული თვალების შემხედვარეს, ნამდვილად მიღირდა პედაგოგებისა თუ მშობლებისგან მაშინდელი გაცდენილი გაკვეთილების გამო საყვედურების მოსმენა.

რადგან ზემოთ ინტელექტი ვახსენე, დავძენ, რომ ამ მხრივ ასევე შეუდარებელი გახლდნენ თბილისის „დინამოს“ მწვრთნელობისას ლევან მოსეშვილის თანაშემწენი — უკვე დასახელებული საამაყო რაჭველი მამულიშვილი ამირან სხიერელი და თხემით ტერფამდე დენდის განსახიერება ვაჟა მხვიტი, რომლებსაც მართლაც ვალმოხდელი შეუერთდა მათი ძვირფასი კოლეგა და მეგობარი.

სადარბაზო ბარათი

დაიბადა 1940 წლის 23 მაისს თბილისში. სიმაღლე — 196 სმ. თამაშობდა თბილისის „დინამოს“ (1959-1972) და სსრკ ნაკრებში (1963-1964). XVIII ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი (1964, ტოკიო), ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962), სსრკ ჩემპიონი (1968), სავაჭრო თასის მფლობელი (1969). თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი (1972-2003). საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. ღირსების ორდენის კავალერი.

ყოველ გუნდსა და მოთამაშეს აქვს ჭეშმარიტების მომენტი. ქართული საკლუბო სპორტისათვის ასეთად იქცა 1962 წლის 29 ივნისს ფენევაში მოგებული საკალათბურთო დიდგორი — ჩემპიონთა თასი თვით მადრიდის „რეალთან“ — 90:83, რასაც წინ უძღოდა ორივე ნახევარფინალურ რაუნდში მოქმედი ტრიუმფატორის, ასევე მრისხანე ცსკას დაჩოქება — 75:71 და 77:66.

აი, ასეთი ოცნების გუნდის მშენებელი გახლდათ ლევან მოსეშვილი. დასაბამი, რომ აღნიშნულ მიღწევას, ისევე როგორც მის შემოქმედებს — გიორგი ავალიშვილსა და ქართული კალათბურთის ბერძენულ ოთარ ქორქიას იშვიათად თუ იხსენებს ვინმე. დიას, ის უმაღლესი ტიტული, რატომღაც, გერის როლში რჩება აქამდე, რასაც სინანულით უსვამდა კიდევ ხაზს ბატონი ლევანი, თანაც — ჩვეული პირუთენელობით:

„ალბათ, ჩვენს წარმატებას ისეთი ყურადღება არ მიაქციეს, როგორსაც ვიმსახურებდით. ჩვენ არ გვითამაშია და არ მოგვიცია „რეალისთვის“ იმის გამო, რომ მთავრობას ან ვინმეს სხვას ძვირფასი საჩუქარი გადმოეცა. ჩვენ ერთმანეთისთვის ვითამაშეთ და ერთმანეთს გა-

სახდელში გადავეხვიეთ, ჩავეხუტეთ, მივულოცეთ. ძალიან დავიღალეთ და ვერ ვხვდებოდით, რომ რაღაც დიდი მოვიგეთ. „დინამომ“ ისტორია შექმნა“.

დიას, ნუ გევიწყდება, რომ ის ისტორია ჩვენია და ის „დინამოც“ ჩვენი იყო, არის და სულ იქნება.

ხალხო! „დინამომ“ ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო და ეს ბევრმა არ იცის ან არ ახსოვს.

რაც შეეხება „დინამოს“ სამ ათეულ წელწინადაც მეტი ხნის განმავლობაში თავკაცობისას შექმნილ მთელ ეპოქას, დაგვეთანხმებით, მასზე სასაუბროდ საგაზეთო ფორმატი არ გვეყოფა. ან რა უნდა ვთქვათ ახალი?

დავძენთ, რომ ბატონი ლევანი თაობათა აღმზრდელის ამპლუაშიც ისეთივე პრინციპულ დამრიგებლად რჩებოდა, როგორც თამაშის დროს იყო. დასტურად გუნდის ლიდერის — გელა დარსაძის სამშობლოში დატოვებაც კმარა, რომელიც საბურძნეთში ევროტურნირის შეხვედრაზე არ წაიყვანა.

ნათელი და სანთელი, დიდოსტატი!

ვიტალი ჯაფარიძე

ოქანის გაღმა რაღა ღარჩა...

ლემბონ ჯეიმსი ახლოსაა ნა-ს ოქროს ბეჭდის მეოთხედ დაუფლებასთან, ამჯერად „ლოს-ანჯელეს ლეიკერზის“ შემადგენლობაში, რადგან სუპერფინალურ სერიაში „მაიაში ჰითთან“ მისი გუნდი უკვე 3:1 დანაშურდა.

ნერვების ომად ქცეულ მეოთხე შეხვედრაში „მეფემ“ პარტიიორებს 28 ქულა, 12 მოხსნა და 8 პასი შეაშველა, თუმცა, გადამწყვეტი სამქულიანი 90:88-ზე კოლდუელ პოპემ ჩააგდო, ხოლო თვით მატჩი 102:96 დასრულდა.

ალსანიშნავია, რომ ამ უმძაფრეს ბრძოლაში კალიფორნიელთა მაქსიმალური უპირატესობა ერთ-ერთ ეპიზოდში 9 ქულას შეადგენდა — 100:91, ორნიშნა სხვაობით კი ვერცერთმა გუნდმა ვერ მოახერხა წინ გასვლა.

რაც შეეხება ფლორიდელს, მათ ტრავმამოშუშებული ბემ ადებაიო 15 ქულითა და 7 მოხსნით დაუბრუნდა, მაგრამ უჩვეულოდ სუსტად ითამაშა წინა მატჩის გიმრავში ბატლერმა, რომელმაც, მართალია, პირველ პერიოდში ხუთივე ცყორცნა ზუსტად შეასრულა, მაგრამ შემდეგ პირადი მონაგარი მხოლოდ 20 ქულამდე აიყვანა.

* * *

ამასობაში პირველი ევროპული ტიტული მოიპოვა საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი უკანასაზღვლა თად მაკვადენმა. მისმა ესპანურმა კლუბმა „ბურგოსმა“ ათენში გამართული ფიბას ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

ალსანიშნავია, რომ „ჯვაროსანი“ რვათა ფინალის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. იგი ყველაზე შედეგიანი იყო მასპინძელ აეკ-თან გადამწყვეტ ბრძოლაში — 18 ქულა (86:75).

გიორგი შოთაძე

გოგაშური

გრუნტის ნაღალი

გრუნტის მეფე რაფაელ ნაღალი სტახანოვიური ტემპით უახლოვდება როლან გაროსზე მე-13 ტრიუმფს.

შეგახსენებთ, რომ ამას წინათ ესპანელმა როლის მასტერზის მეოთხედფინალი სენსაციურად დათმო არგენტინელ დიეგო შვარცმანთან, რომელსაც საერთო ჯამში 9:1-ს უგებს, თუმცა, რევანშის აღების შანსი დღესვე მიეცემა, რადგან, ბედის ირონიით, სწორედ მას შეხვდება პარიზში გასამართავ ნახევარფინალში. სულ პირენეულს საფრანგეთის დედაქალაქში კარიერის 100 მატჩიდან 98(!) აქვს მოგებული. იგი მხოლოდ შვედრობინ სოდერლინგთან და სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩთან დამარცხდა.

სხვათა შორის, მალიორკელი ამჯერადაც ახლოს იყო პირველი პარტიის ნაგებასთან იტალიელ ამომავალ ვარსკვლავ იანიკ სიმერთან, რომელიც 6:5-ზე სეტზე ანოვდებდა, მაგრამ მდგომარე-



ობა გამოსასწორა და გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა — 3:0.

რაც შეეხება მის მომავალ მეტოქეს, მან გიმრულ ბრძოლაში ხუთსეტიან მარათონში ხუთსაათში სძლია მსოფლიოს მესამე ჩოგანს, ამერიკის ლია პორელოვის მოქმედ ავსტრიელ ჩემპიონს დომინიკ ტიმს. ამავე ეტაპზე ნოვაკ ჯოკოვიჩი სტეფანოს ციციპასს შეხვდება.

კიდევ უფრო მოულოდნელად ვითარდება მოვლენები ქალთა ტურნირში, სადაც ერთ-ერთი ნახევარფინალური წყვილი არგენტინელმა ნადია პოდოროსკამ და პოლონელმა იგა სვიატეკმა შეადგინეს. დაგვეთანხმებით, მათი გვარები არათუ თიხნარზე თამაშის მოყვარულებს, არამედ, საერთოდ, ჩოგბურთის თავანისმცემელთა ერთეულ წარმომადგენლებს თუ სმენიათ.

კოზა კოზანიძე

შარო, მხოლოდ ანზორ მელიასთან მოდიხარ?!

(მეხსნა გვირდობა)

მონოპროფილურ კლინიკებში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შეყვანილი პაციენტების რაოდენობამ:

„პაციენტები სასწრაფოს შემოჭრას უბრალოდ, კორონავირუსის გამო, მიმართვიანობა შემცირდა. აღსანიშნავია კიდევ ის ფაქტი, რომ კარდიოლოგიური მიმართულებით საქართველოში ნაჯერ მეტი კლინიკაა, ვიდრე საქართველოში. შესაბამისად პაციენტები გაიფანტნენ“...

„კომპარსანტი“ დაინტერესდა რა პასუხი აძვს ამ უმძიმეს ბრალდებაზე ჯანდაცვის სამინისტროს. რა სქემით მუშაობს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის (ცენტრი, რომელიც მართავს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვას) მართვას და რატომ ვერ ხერხდება ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა? ამ კითხვებით ავთანდილ თაღაძის უწყებები დასაშინებელია.

ვიღებ პასუხი, რომ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი ჰოსპიტალიზაციისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სქემით, რაც, მათი ინფორმაციით, გულისხმობს პაციენტთა შესაბამისი სერვისების მქონე უახლოეს კლინიკაში ტრანსპორტირებას. ავთანდილ თაღაძის უწყებაში პრობლემის არსებობას არ აღიარებენ და ამბობენ, რომ ცენტრის ჰოსპიტალიზაციის ძირითადი პრინციპები ემყარება პაციენტისთვის დროული, ხარისხიანი და სრულყოფილი სერვისების შეთავაზებას.

„ცენტრისთვის უცნობია რა იგულისხმება მონოპოლისტ მრავალპროფილურ კლინიკათა საკითხში – რამდენად, რამდენადც მსგავსი გამოწვევა სასწრაფო დახმარების სამსახურში არ არსებობს. ჰოსპიტალიზაციის სქემით გათვალისწინებულ ნუსხაში შესულია გადაუდებელი დახმარების მიღებისთვის საჭირო ძირითადი სერვისების მიმწოდებელი კლინიკები. მოგეხსენებათ, ქვეყნის მასშტაბით, ფუნქციონირებენ როგორც ქსელური, ასევე არაქსელური სამედიცინო დაწესებულებები, რომლებშიც პაციენტთა ჰოსპიტალიზაცია იმისდა მიუხედავად ხორციელდება, თუ რომელ კომპანიას ან ქსელს წარმოადგენს იგი. ცენტრისთვის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს პაციენტთა ისეთი სამედიცინო დაწესებულებაში განთავსება, სადაც მოქალაქეებს მოემსახურებიან დროულად, სრულყოფილად და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად. ცენტრი პაციენტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს მათ ისეთ საუკეთესო კლინიკაში ტრანსპორტირებას, სადაც ადგილზე ხელმისაწვდომია ყველა საჭირო სერვისი. ეს შემდგომში პაციენტთა სხვა კლინიკაში მკურნალობის მიზნით გადაყვანის საჭიროების პრევენციას ახდენს“, – აცხადებენ სახელმწიფო უწყებაში.



ბახსენება

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რეპაზიტივობა, დათო და-თოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ზონდო ქოშულია, ივიკო სახვარაძე, მირაზ მახარაძე, ბურაბ ახარაძე, თამაზ ყაჭიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუშუბარ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გიგ მახარაძე, ომარ ცაავა, გიგ რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გომინაშვილი



უდიდესი მონატრებითა და მეგობრული სიყვარულით იუსუყებიან, რომ ა. წ. მ ოქტომბერს დაბადებიდან 78 წელი შეუსრულდებოდა ამავე საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად დამფუძნებელს და პირველ თანათავმჯდომარეს, ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი მართლმწიფის დაცვის დიდ მოამაგეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილ თავკაცსა და სახალხო გენერალს, ლვან ლომოსილ მამულიშვილსა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

ღეშურ მიქაძე.

ბახსენება

ჯიშურ კერესელიძე



საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ყოფილი დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენისანი ჯიშურ კერესელიძე 80 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ჯიშურ კერესელიძემ თბილისის ბოტანიკურ ბაღში მუშაობა 1963 წლიდან მეზღედ დაიწყო, ხოლო 1964 წლიდან საქმიანობა საფინანსო-ეკონომიკური მიმართულებით გააგრძელა. იგი 1974 წელს – გადაიყვანეს მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო 1976 წელს ბოტანიკური ბაღის გაფორმების სექტორის გამგედ. ჯიშურ კერესელიძე 1977 წლიდან დაინიშნა ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილედ სამეურნეო დარგში, 1987 წლიდან კი უძღვებოდა ბაღის სამეცნიერო მიმართულებას. 1997 წლიდან ჯიშურ კერესელიძე ასრულებდა დირექტორის მოვალეობას, ხოლო 2000-2006 წლებში იყო ბოტანიკური ბაღის დირექტორი. 2006-2016 წლებში ჯიშურ კერესელიძე მუშაობდა ბოტანიკურ ბაღში სხვადასხვა წამყვან თანამდებობებზე.

ჯიშურ კერესელიძემ ქვეყნისათვის მძიმე 90-იან წლებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბოტანიკური ბაღის გადარჩენის საქმეში. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში განახლდა ბაღის ინფრასტრუქტურა, შეუფერხებლად მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მოხერხდა მცენარეთა კოლექციების შენარჩუნება და განახლება. ბატონი ჯიშურის დამსახურებით დამყარდა კავშირები ევროპის წამყვან ბოტანიკურ ბაღებთან. იგი ხელმძღვანელობდა არაერთ საერთაშორისო სავლე ექსპედიციას და სამეცნიერო კონფერენციას.

ჯიშურ კერესელიძის თაოსნობით დაარსდა საქართველოს ბოტანიკური ბაღებისა და პარკების ასოციაცია, რომელსაც იგი სიცოცხლის ბოლომდე უშუალოდ ხელმძღვანელობდა. მძიმე ეკონომიკური კრიზისის დროს ასოციაციამ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია საქართველოს ბოტანიკურ ბაღებს.

ჯიშურ კერესელიძეს გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო შრომა, მათ შორის 6 მონოგრაფია. ლვან ლომოსილი მეცნიერის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ბოტანიკური ბაღის თანამშრომელთა და კოლეგების გულში.

გაღუდავი დახმარების ორი ახალი ცენტრი

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ინფორმაციით, კაჭრეთისა და წნორის გადაუდებელი დახმარების ცენტრების მედპერსონალი მუშაობას ახალ სამუშაო გარემოში გააგრძელებს. ადმინისტრაციული შენობები საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორმა ავთანდილ თაღაძემ კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელ ირაკლი შიოშვილთან და კაჭრეთისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების მერებთან ერთად მოინახულა.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცენტრები სასწრაფო სამედიცინო დახმარების სპეციფიკითაა დაპროექტებული და ადგილზე პერსონალისთვის სამუშაო დამსახვენილები ყველა პირობაა შექმნილი. კახეთის მასშტაბით, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის უკვე 6 ახალი შენობაა გახსნილი. ჯამში, რეგიონებში კი – სულ 30 ახალი ადმინისტრაციული შენობა გაიხსნა და ამჟამად კიდევ 23 ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს.

ბახსენება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაინტერესებულ მხარეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 2020 წლის 22 ოქტომბერს, 10:00 საათზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გიორგინიანის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში; 11:30 საათზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფ. ბაღაურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში; 13:00 საათზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთის გამგეობის შენობაში; 14:30 საათზე გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაკურციხის კულტურის სახლის შენობაში; 16:00 საათზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩალაუბნის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში და 17:30 საათზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. მელაანის საჯარო სკოლა, გაიმართება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის მეორე ლოტის (საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი-ბაკურციხე) გაუმჯობესების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება. შეხვედრაში მონაწილეობის მიღება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია, ხოლო დამატებითი კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: press@georoad.ge

ბახსენება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაინტერესებულ მხარეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 2020 წლის 21 ოქტომბერს, 11:00 საათზე გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ სართიჭალის კულტურის სახლის შენობაში და 15:00 საათზე საგარეჯოს ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში გაიმართება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი) გაუმჯობესების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება. შეხვედრაში მონაწილეობის მიღება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია ხოლო დამატებითი კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: press@georoad.ge



ქართული გენია, როკვით განფენილი

ცეკვა „ქართულს“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. შესაბამისი ბრძანება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიმემ 21 სექტემბერს გამოსცა, რომელიც ძალაში 7 ოქტომბერს შევიდა.

„დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ობიექტის მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.

დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახოს შესაბამისი ღონისძიებები“ – წერია ბრძანებაში.

საბია ბუნიათიშვილი CARTIER-ის სახე გახდა

სახელგანთქმული ქართველი პიანისტი საბია ბუნიათიშვილი, რომელიც საფრანგეთში მოღვაწეობს, ცნობილი ფრანგული საიუველირო კომპანიის, Cartier-ის სახე გახდა.



„Cartier-ის სიამოვნებით წარმოგიდგენთ ცნობილ ქართველ პიანისტს საბია ბუნიათიშვილს, როგორც ჩვენი კომპანიის საერთაშორისო ელჩს. ვამაყობთ, რომ დაკავშირებული ვართ თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ არტისტთან“, – ნათქვამია განცხადებაში. აღნიშნულ ფაქტს საბია ბუნიათიშვილი სოციალურ ქსელში ეხმიანება. „ჩემთვის დიდი პატივია და ბედნიერი ვარ, რომ ამ ლეგენდარული ბრენდის სახე გახვები“, – წერს საბია ბუნიათიშვილი.

ქველამ ქართულმა იარაღმა მზის სინათლე იხილა

ზესტაფონის ერთ-ერთ უძველეს დასახლებაში, კირკის უბანში, ძველი ქართული საბრძოლო იარაღებია აღმოჩენილი. ზესტაფონის მერიის ინფორმაციით, საბრძოლო აღჭურვილობა საკუთარ ეზოში მას შემდეგ აღმოაჩინეს, რაც კუთვნილ მიწა-წყალზე სახლის ასაშენებლად მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო.



საბრძოლო იარაღების წარმომავლობას ახლა უკვე არქეოლოგები სწავლობენ. პირველადი ვერსიით, როგორც სპეციალისტები განმარტავენ, შესაძლოა, ეს იყოს ერთჯერადად დაფლული იარაღის საცავი, სწრაფად დაგეგმილი ომიანობის სამზადისის გამო.

საქართველოში იარაღის წარმოება ბრინჯაოს ხანიდან იღებს სათავეს. პირველი უძველესი ნიმუში, რომელიც დღემდე შემორჩენილია, ეს არის ბრინჯაოსგან ჩამოსხმული პატარა ზომის კოლხური ცული, რომლის მსგავსი რამ არ არის მსოფლიოში.

თეატრალური სეზონი - ღია ცის ქვეშ

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივას სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი – ირინე ლომინაძე) 14 ოქტომბერს 52-ე თეატრალურ სეზონს ხსნის.

კორონავირუსის პანდემიის გამო შექმნილი ვითარებისა და დანერგული რეგულაციების შესაბამისად, სეზონი გაიხსნება არა სპექტაკლით, არამედ ერთ-განყოფილებიანი კონცერტით, რომელიც გაიმართება არა ტრადიციულად ოპერის თეატრში, არამედ ლალო მესხიშვილის თეატრის ეზოში, ღია ცის ქვეშ ე.წ. „მწვანე თეატრში“.

კონცერტში მონაწილეობენ სოლისტები: ნაირა კოკლიაშვილი, ფერიდე ჯინჯისაძე, მარიკა მაჩიტაძე, სოფიო ბერიშვილი, ირმა შავგულიძე, ნათია მელქაძე, რამაზ კუბლაშვილი, არმაზ დარაშვილი, ბაკურ კვიციანი, ზადრი ადამია, ლაშა თიბერიძე, მისიელ ქებაძე, ემილ ჩარვაზია, თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი ნათია გოგუაძე) და ორკესტრი.

კონცერტს, რომლის პროგრამაშია მხოლოდ ქართული საოპერო მუსიკა, წარუძღვება თეატრის მთავარი დირიჟორი რევაზ ჯავახიშვილი. დასასრული 16 საათზე.



ლიტერატურულმა ნობელმა ოქანის გაღმა გაღაინასვლა



ლიტერატურის დარგში 2020 წლის ნობელის პრემია მიენიჭა ამერიკელ პოეტს, ლუიზ ბლიუსს. მან ჯილდო დაიმსახურა „თავისი განუმეორებელი პოეტური ხმისთვის, რომელიც მკაცრი მშვენიერებით ინდივიდუალურ არსებობას უნივერსალურად აქცევს“.

ლუიზა ბლიუსი დაიბადა 1943 წელს ნიუ იორკში. ის ამჟამად მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ კემბრიჯში ცხოვრობს.

ახალი ნობელიანტები ფიზიკაში

ნობელის პრემიას 2020 წელს ფიზიკაში როჯერ პენროსი, რენე შარდ გენზელი და ანდრეა გეზი შავი ხვრელების კვლევისთვის მიიღებენ.

მიმდინარე წელს ნობელის პრემიის მოცულობა ყველა კატეგორიაში 1 მილიონი შვედური კრონით (411 ათასი) გაიზარდა და 10 მილიონი (41,1 მილიონი) შეადგინა. ეს ნობელის ფონდის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის გაცემდა.

ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონია 10 დეკემბერს სტოკჰოლმში (შვედეთი) და ოსლოში (ნორვეგია) გაიმართება.

წელს კორონავირუსის პანდემიის გამო ნობელის პრემიის დაჯილდოების ცერემონია ონლაინ ფორმატში მიმდინარეობს.



საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48 ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი სვანტაა ძოგულია 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

გამომცემლობა: შპს „ახალი საუკუნე – გაზეთი საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35 შპს „თანამდგომარეობა“-გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 იბეჭდება სტამბა „კოლორი“ ე. ბალდავასის №3

კოდონ ჰაუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა საჩუქრადღეობა! რედაქციის მიერ შეუქვეთავი მასალაში დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაქმობა, გუდაამ არ ემთხვევათ რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხვალ, 10 ოქტომბერს



უსტორიული ვაჭრობის ქარხანი: აუზ ფონური - 3.2170; აპარტი - 3.7803; ბრინჯაოს ბიკანა სტარტინგი - 4.1364; 100 გრამი - 4.1009; თერაპიული ლინა - 0.4095; ანტიბიოტიკული მანათი - 1.8937; 1000 სოფლის დრაგი - 6.5736.

აპირადი 9 ოქტომბრისთვის			
აღმოსავალი საპროცენტო:			
ბარა -	ლაპ	+6,	ფაპ +22
მთიანი რაიონები -	ლაპ	+1,	ფაპ +22
დასავალი საპროცენტო:			
ბარა -	ლაპ	+16,	ფაპ +32
მთიანი რაიონები -	ლაპ	+7,	ფაპ +27
თბილისი -	ლაპ	+9,	ფაპ +21

დაგვიკავშირდით, მოგვწერით: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ-გვერდი: www.sakresp.ge